საკმო შაჯეი

№33 (672)
ოთხშაბათი
12 ოქტომბერი,
2022წ.
ფასი 1.50 ლ.

„რადარებიდან გამქრალი“ საქართველო, შუაგულ ევროპაში აღმოჩნდა

ჯონდი ბაღათურია:
ბიძინა ივანიშვილმა ქვეყნისთვის კრიტიკულ მომენტში ღირსეული და გაბედული გადაწყვეტილება მიიღო

ზაზა შათირიშვილი:
ჩვენ იმ ბინდბუნდში შევედით, სადაც რთულია დაინახო რა არის რეალობა

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება „ღვინის დღეების“ ფესტივალზე

ამერიკის ელჩის დამოკიდებულება პარტნიორულ ურთიერთობას სცდება

ჩვენ გვჭირდება მეგობრები, რომელთა ინტერესი საქართველოს დაცვა და არა მისი საზარბაზნე ხორცად გამოყენება იქნება!

ევროპული სტანდარტების წინააღმდეგნი არ ვართ, მაგრამ პარტნიორულ ურთიერთობებს ვერ ვხედავთ. როცა მოსამართლეს საელჩოს თანამშრომელი იბარებს, ეს ნორმალურად ვერ ჩაითვლება.

„ნაცების“ დატოვებული მორიგი ხაფანგი

მელიას მარჯვე მარჯვენა

ქალბატონო დეიდა, როგორა ხარ ქვეიდან?

„რადარებიდან გამქრალი“ საქართველო, შუაგულ ევროპაში აღმოჩნდა

საქართველოს მოძულე შინაური მტრების მიერ დახასიათებულმა „მსოფლიო პოლიტიკური რადარებიდან გამქრალმა საქართველომ“ ჰოი, საკვირველებავ, პირდაპირ შუაგულ ევროპაში ამოჰყო თავი პრაღის სამიტზე. კიდევ უფრო „საკვირველი“ ის აღმოჩნდა, რომ ჩვენი პრემიერი, ბატონი ირაკლი ღარიბაშვილი ესტონეთის პრემიერთან ერთად უძღვებოდა დისკუსიას. „რადარებიდან გამქრალ საქართველოს“ ღირსეული ადგილი მიეჩინა, მისი პრემიერი ევროპული პოლიტიკური თანამეგობრობის სამიტის პირველი სესიის - „მშვიდობა და უსაფრთხოება“ თანათავმჯდომარედ აირჩიეს.

ნამდვილად არ არის ხუმრობა საქმე, რომ ჰატარა საქართველო ევროკავშირის 44 ქვეყანასა და 17 პარტნიორ სახელმწიფოს მეთაურებთან ერთად მიიღებს მიიღებს მონაწილეობას, მით უმეტეს, რომ ორგანიზაციის წევრი და პარტნიორი ქვეყნების ლიდერები ამ ფორმატში პირველად იკრიბებოდნენ და საფრანგეთის პრეზიდენტის, ემანუელ მაკრონის ინიციატივით, ევროპელი მაღალჩინოსნები არსებულ გამოწვევებზე (არა მხოლოდ) სასაუბროდ იყვნენ მომართული.

მრგვალი მაგიდის ფორმატში დაგეგმილი მაღალი დონის თემატური დისკუსიის გამართვა პრაღის სასახლეში, რომლის თანათავმჯდომარე ჩვენი პრემიერია, სწორედ რომ აღსანიშნია.

ქვეყნის შიდა მტრები პირში წყალჩაგუბებულები არიან, ჯერ ვერ ჩამოუყალიბებიათ, რა თქვან, რანაირად გააბიაბრუონ გამართული შეკრება, რა თქვან, რას დააბრალონ, რომ საქართველოს პრემიერს ირაკლი ღარიბაშვილს ესტონეთის პრემიერ კაია კალასთან ერთად შესთავაზეს თანათავმჯდომარეობა თემატურ დისკუსიაზე „მშვიდობა და უსაფრთხოება ევროპის კონტინენტზე“.

კაცმა რომ თქვას, თუ მცირედი სამართლიანობა მაინც არსებობს, რატომაც არ ეკუთვნოდა საქართველოს პრემიერს მშვიდობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული დისკუსიის წამყვანობა, როცა სწორედ იმისთვის კიცხავენ ქვეყნის შიდა მავნებლები, რომ კატეგორიულად წინააღმდეგი გამოვიდა, საქართველოსთვის რამენაირი საფრთხე შეექმნა და პროვაკაციულად ჩართულიყო უთანასწორო ომში მხოლოდ იმიტომ, რომ „ვიღაცებს“ ასე სურდათ და ყველანაირად შეეწინააღმდეგა ე.წ „მეორე ფრონტის“ გახსნას თავის ქვეყანაში, საქართველოში.

როგორც გვამცნეს, დისკუსიის ფარგლებში განიხილებოდა არსებული გეოპოლიტიკური ვითარება, უკრაინაში მიმდინარე სამხედრო მოქმედებები... „ვიღაცებისთვის“ აბსოლუტურად „მერე, რა“ არის, თუ საქართველოში ბომბების ცვენა იქნება, მაგრამ დისკუსიის მონაწილეებისთვის და, პირადად ჩვენი პრემიერისთვის ეს არ იყო და არის „სულ ერთი“. სწორედ ამიტომ ისაუბრეს იმ გამოწვევებზე, რომლებიც საფრთხეს უქმნის გლობალურ უსაფრთხოებას...

ცხადია, საუბარი იყო ევროპული ოჯახის მშენებლობის გაგრძელებასა და იმ ქვეყნების ინტეგრაციაზე, რომლებიც ევროპულ ოჯახთან არიან ასოცირებულები. აღინიშნა, რომ ახალი პლატფორმა, როგორიც ევროპული პოლიტიკური გაერთიანებაა, არის მექანიზმი, რომ გაიხსნას დისკუსიები, სადაც საუბარი იქნება ამ ქვეყნებისთვის ახალი შესაძლებლობების შექმნაზე, რაც სამომავლოდ ევროკავშირში ინტეგრაციაში დაეხმარებათ, ასევე, კლიმატურ ცვლილებებზე, მიგრაციასა და ენერგეტიკაზე.

როგორც ოფიციალური ინფორმაცია გავრცელდა, დისკუსიას ესწრებოდნენ: საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი, თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი რეჯეფ თაიფ ერდოღანი, აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი, ლიეტუვის პრეზიდენტი გიტანას ნაუსედა, რუმინეთის პრეზიდენტი კლაუს იოჰანისი, ხორვატიის პრემიერი ანდრეი პლენკოვიჩი, მონტენეგროს პრეზიდენტი მილო დუკანოვიჩი და ლუქსემბურგის პრემიერი ხავიერ ბეტელი.

ერთგვარ ნიშნისმოგებად ჩაითვლება, მაგრამ ის დროა, როცა უნდა აღინიშნოს, რომ დისკუსიის არც ერთ მონაწილეს აზრად არ მოსვლია, რომ დისკუსიის ფორმატი შეურაცხმყოფელი იქნებოდა რომელიმე მათგანისთვის და აზრის გამოთქმა ან საკუთარი მოსაზრების გამოხატვა, გაზიარება, შეკითხვის დასმა ან რაიმეზე კონკრეტული პასუხის გაცემა, რომელიმე მონაწილეზე შემაშფოთებელ თავდასხმად განიხილებოდა.

ზოგადად, კვლავ ერთად გვახსენებენ საქართველოს, უკრაინასა და მოლდოვას, მაგრამ, რაც რეალურად მოხდა ცოტა ხნის უკან, ვიხილეთ. ჩვენმა კორეს-პონდენტმა შეკითხვა დაუსვა ლიეტუვას პრეზიდენტს (არა მხოლოდ), რა სარგებელს მოუტანდა ეს ფორმატი იმ სახელმწიფოებს, რომლებიც მიისწრაფიან, გახდნენ ამ ორგანიზაციის წევრები.

„პირველ რიგში, ხაზი მინდა გავუსვა, რომ არ უნდა დაინახოთ ევროპული პოლიტიკური თანამეგობრობა როგორც ევროკავშირის გაფართოების შემცვლელი რადგან ევროპის გაფართოვება სხვა არხია და ეს არხი ძალიან მნიშვნელოვანია თქვენი ქვეყნებისთვის, რომლებსაც უკვე გაქვთ ძალიან პოზიტიური ახალი ამბავი ევროპული საბჭოდან. ახლა ყველაფერი თქვენს ხელშია რათა შეასრულოთ საშინაო დავალება. ჩვენ ძალიან დიდი ენთუზიაზმით ვართ განწყობილი ძალიან სწრაფად დავიწყოთ მოლაპარაკების პროცესი როცა ქვეყნები შეასრულებენ რეკომენდაციებს. იმედი მაქვს ეს სწრაფად მოხდება. უნდა ვიპოვოთ საერთო პოზიცია უკრაინაში რუსეთის ომის დასაგმობად. უმთავრესია უკრაინის მხარდაჭერა ყველა შესაძლებობით: სამხედრო დახმარება, ეკონომიკური დახმარება, ფინანსური... ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია ვიპოვოთ გამოსავალი ჩვენი ენერგობაზებისთვის რათა ენერგოგამძლეობა გავაძლიეროთ .“

სხვამ ინფლაციაზე ინაღვლა, კიდევ სხვამ ენერგოკრიზისზე... მოკლე კომენტარებიდან ისმოდა, რომ ყველა ე.წ ევროპელი ლიდერი თავისას ნაღვლობდა, რაც, ფაქტობრივად, ჩვენ ნაკლებად გვეხება ...

მოკლედ რომ ვთქვათ, ევროკავშირისა და პარტნიორი სახელმწიფოების, ევროპული პოლიტიკური თანამეგობრობის თანამოაზრეთა გაერთიანების პირველი შეხვედრა 44 ქვეყნის ლიდერის მონაწილეობით შედგა, რაც, ფაქტობრივად, რუსეთის მიერ უკრაინაში წამოწყებულმა საომარმა მოქმედებებმა მოიტანა. თუმცა, რა იქნება ამ შეხვედრის შედეგი, მომავალი დაგვნახებს. საქმე ის გახლავთ, რომ ქართველებს არაერთ შეხვედრაში მიგვიღია მონაწილეობა; არაერთ დოკუმენტზე

მოგვიწერია ხელი; არაერთი დაპირება მოგვისმენია და უამრავი „არაერთი“ რამ გამოგვიცდია, ჩვენთვის სარგებელის მომტანი კი მაინც არაფერი გვრგებია...

***P.S** სტამბოლში დაბრუნებულმა თურქეთის პრეზიდენტმა, რეჯეფ ტაიფ ერდოღანმა პრაღის შეხვედრასთან დაკავშირებით ჟურნალისტების შეკითხვებს უპასუხა და რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან სატელეფონო საუბრის შინაარსაც შეეხო. მისი თქმით, პუტინმა განსაკუთრებული მადლიერება გამოხატა და თურქეთს წარმატებული შუამავლობა მიულოცა. ერდოღანმა არ გამორიცხა ყაზახეთში პუტინთან შეხვედრა აზიაში ურთიერთქმედებისა და ნდობის აღდგენის ღონისძიებების კონფერენციის მეექვსე სამიტის ფარგლებში. იქვე დასძინა, რომ საჭიროდ მიიჩნია პუტინისთვის დაბადების დღის მილოცვა.*

ერდოღანმა, ასევე, კომენტარი გააკეთა თურქეთის საჰაერო ძალების ფლოტის ამერიკული წარმოების თვითმფრინავების მოდერნიზებაზე და განაცხადა, თუ აშშ მხარს არ დაუჭერს თურქეთის წინადადებას F-16-ის მოდერნიზაციაზე, ბევრ ალტერნატიულ მიმწოდებელს იპოვის საზღვარგარეთო...

ნინო დაუშვილი

ევროპული პოლიტიკური გაერთიანების პირველი სამიტის ფარგლებში, პრაღის სასახლეში გაიმართა მაღალი დონის თემატური დისკუსიები.

საქართველოს პრემიერ-მინისტრს ირაკლი ღარიბაშვილსა და ესტონეთის პრემიერ-მინისტრს კაია კალასს ღონისძიების ორგანიზატორებმა თემატური დისკუსიის - მშვიდობა და უსაფრთხოება ევროპის კონტინენტზე - თანათავმჯდომარეობა შესთავაზეს.

პრემიერ-მინისტრი, მის ესტონელ კოლეგასთან ერთად, გაუძღვა დისკუსიას, რომელსაც ევროპული პოლიტიკური გაერთიანების ქვეყნების ლიდერები ესწრებოდნენ.

დისკუსიის ფარგლებში, განხილულ იქნა არსებული გეოპოლიტიკური ვითარება, უკრაინაში მიმდინარე სამხედრო მოქმედებები. ისაუბრეს იმ გამოწვევებზეც, რომლებიც საფრთხეს უქმნის გლობალურ უსაფრთხოებას.

ლიდერებმა ასევე ისაუბრეს, თუ როგორ უნდა გაგრძელდეს ევროპული ოჯახის მშენებლობა და იმ ქვეყნების ინტეგრაცია, რომლებიც ევროპულ ოჯახთან არიან ასოცირებული. აღინიშნა, რომ ახალი პლატფორმა, როგორიც არის ევროპული პოლიტიკური გაერთიანება, არის მექანიზმი, რომ გაიხსნას დისკუსიები, სადაც საუბარი იქნება ამ ქვეყნებისთვის ახალი შესაძლებლობის შექმნაზე, რაც მათ სამომავლოდ ევროკავშირში ინტეგრაციაში დაეხმარებათ.

დისკუსიას ესწრებოდნენ საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი, თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი რეჯეფ ტაიფ ერდოღანი, აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი, ლიეტუვის პრეზიდენტი გიტანას ნაუსედა, რუმინეთის პრეზიდენტი კლაუს იოჰანისი, ხორვატიის პრემიერ-მინისტრი ანდრეი პლენკოვიჩი, მონტენეგროს პრეზიდენტი მილო დუკანოვიჩი და ლუქსემბურგის პრემიერ-მინისტრი ხავიერ ბეტელი.

გვაქვს უნიკალური, 80-საუკუნოვანი, ღვინის წარმოების ისტორია

კეთილი იყოს თქვენი მობრძანება „ღვინის დღეების“ ფესტივალზე

მინდა, პირველ რიგში ყველას მოგილოცოთ დღევანდელი დღე. დღეს ჩვენ დავიწყეთ ღვინის დღეები ოფიციალურად და ჩვენი სურვილია, რომ ყოველწლიურად აღვნიშნოთ ღვინის ფესტივალი, ასე დავარქვით - „ღვინის დღეები“. ჩვენთვის, ყველასთვის საამაყოა, რომ ვართ ღვინის სამშობლო, რაც დადასტურებულია, დადგენილია, მთელი მსოფლიოს მიერ არის აღიარებული, - ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა თელავში განაცხადა, სადაც ფესტივალის - „ღვინის დღეები საქართველოში“ ფარგლებში იმყოფებოდა.

„გვაქვს უნიკალური, 80-საუკუნოვანი, ღვინის წარმოების ისტორია და ჩემი სურვილი იყო, რომ ყველა ის მეღვინე, იქნებოდა ეს დიდი, თუ საშუალო სიდიდის კომპანია, მცირე მეწარმეები, მარნის მფლობელები, ყველას წარმოედგინა საკუთარი წარმოებული ღვინო და ამას გარდა, ჩვენ ეს უნდა ვაქციოთ სახალხო დღესასწაულად, რომ იტყვიან. ეს უნდა იყოს ყოველწლიური ფესტივალი, ღვინის ფესტივალი და ღვინის დღეები, ისეთი როგორიც არის ევროპაში, ბევრ წარმატებულ ქვეყანაში. ეს არის ჩვენი მთავარი გზავნილი.

მჯერა, რომ კიდევ უფრო მეტი ტურისტი ჩამოვა, არა მხოლოდ კახეთში, არამედ ყველა იმ რეგიონში, სადაც ღვინო იწარმოება და ეს უნდა გახდეს ჩვენი საფირმო ნიშანი, რომ იტყვიან. მთავარი გზავნილი არის ის, რომ საქართველო არის ღვინის სამშობლო“ - განაცხადა პრემიერმა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, მთავრობის წევრებთან ერთად, ფესტივალის - „ღვინის დღეები საქართველოში“ - ფარგლებში, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს კახეთში, წინანდალში, უმასპინძლა.

დღის ბოლოს მთავრობის მეთაურმა ელჩები საპატიო ვახშამზე მიიღო.

ვახშამდე, დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებმა, ღვინის ფესტივალის ფარგლებში, წინანდლის ისტორიულ ვენახში ყურძენი დაკრიფეს და კულინარიულ მასტერკლასში მიიღეს მონაწილეობა.

●

ბედნიერი ვარ, რომ ვესწრები ახალ ყოველწლიურ ფესტივალს - „ღვინის დღეები საქართველოში“, რომლის მიზანია ქართული მეღვინეობის პოპულარიზაცია ევროკავშირისა და გლობალურ ბაზრებზე. 8000-წლიან ტრადიციებზე დაყრდნობით, ვიყურებით მომავალში!", - წერს შვედეთის ელჩი სოციალურ ქსელ „ტვიტერში".

●

საქართველოში **ნიდერლანდების სამეფოს ელჩი მარია ქრისტინა ვან კოლდამი** საქართველოში ფესტივალის - "ღვინის დღეები საქართველოში" გამართვას სოციალურ ქსელ „ტვიტერში" ეხმაურება.

ელჩი აღნიშნავს, რომ ტრადიციული რთველი საქართველოში

- „ღვინის დღეები საქართველოში", 8000-წლიან ტრადიციებზე დაყრდნობით, ვიყურებით მომავალში! - ამის შესახებ საქართველოში **შვედეთის სამეფოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ულრიკ თიდესტრომი** სოციალურ ქსელ ტვიტერში წერს.

შვედეთს ელჩი აღნიშნავს, რომ ფესტივალის - „ღვინის დღეები საქართველოში" მიზანი ქართული მეღვინეობის პოპულარიზაციაა ევროკავშირისა და გლობალურ ბაზრებზე.

„ბედნიერი ვარ, რომ ვესწრები ახალ ყოველწლიურ ფესტივალს ღვინის მწარმოებლებთან შეხვედრის შესანიშნავი შესაძლებლობაა.

„ტრადიციული რთველი წინანდალში საქართველოში ღვინის მწარმოებლებთან შეხვედრის შესანიშნავი შესაძლებლობა - მაგალითად, ამ ახალგაზრდა მეწარმეებთან, რომლებიც ყველაფერს ერთად აკეთებენ, დაწყებული ხელით მოხატული ულამაზესი ბოთლებით (ფიროსმანის ნახატები + QR-code) და დამთავრებული, რა თქმა უნდა, უგემრიელესი ღვინით"- წერს ელჩი სოციალურ ქსელ „ტვიტერში.

●

მადლობა ირაკლი ღარიბაშვილს და ილია დარჩიაშვილს ქართულ ტრადიციებთან ზიარების შესანიშნავი შესაძლებლობისთვის - ამის შესახებ **საქართველოში ისრაელის ელჩი, ჰადას მეიცადი** სოციალურ ქსელ "ტვიტერში" წერს.

ირაკლი ღარიბაშვილმა, მთავრობის წევრებთან ერთად, ღვინის დღეების ფარგლებში, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს რთველში უმასპინძლა.

"რა ჯობია სუქოთის აღნიშვნას კახეთში, წინანდლის ისტორიულ ვენახში გამართულ რთველში? მადლობა ირაკლი ღარიბაშვილს და ილია დარჩიაშვილს ქართულ ტრადიციებთან ზიარების შესანიშნავი შესაძლებლობისთვის",-წერს ელჩი სოციალურ ქსელში.

●

მადლობას ვუხდი პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს ქართული ტრადიციების ზეიმში მონაწილეობის მისაღებად მოწვევისთვის - ამის შესახებ **გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში პიტერ ფიშერი** სოციალურ ქსელ "ტვიტერში" წერს.

ირაკლი ღარიბაშვილმა, მთავრობის წევრებთან ერთად, ღვინის დღეების ფარგლებში, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს რთველში უმასპინძლა.

"ვმონაწილეობ რთველში, წინანდლის ისტორიულ ვენახში. მადლობას ვუხდი პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს ქართული ტრადიციების ზეიმში მონაწილეობის მისაღებად მოწვევისთვის", - წერს გერმანიის ელჩი "ტვიტერში".

●

საქართველოს მთავრობის მოწვევით, დღეს წინანდალს ვეწვიე. საკუთარი თვალით ვიხილე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ქართველ მწარმოებელთა სათუთი დამოკიდებულება ორგანული პროდუქციის მიმართ, რაც განსაკუთრებით თვალშისაცემია - ამის შესახებ საქართველოში **დანიის სამეფოს ელჩი ანე ტოფტ სორენსენი** სოციალურ ქსელ „ტვიტერში“ წერს.

პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, მთავრობის წევრებთან ერთად, ღვინის დღეების ფარგლებში, საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს რთველში უმასპინძლა.

„მიყვარს ულამაზესი შემოდგომა საქართველოში. საქართველოს მთავრობის მოწვევით, დღეს წინანდალს ვეწვიე. საკუთარი თვალით ვიხილე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ქართველ მწარმოებელთა სათუთი დამოკიდებულება ორგანული პროდუქციის მიმართ, რაც განსაკუთრებით თვალშისაცემია. ორგანულ საკვებ პროდუქტებს დანიის საცალო ვაჭრობის ბაზარზე მსოფლიოში ყველაზე დიდი წილი უკავია“, - წერს დანიის სამეფოს ელჩი.

ჩვენ იმ ბინდბუნდში შევედით, სადაც რთულია დაინახო რა არის რეალობა, ხელების ცეცებით დავდივართ და არ ვიცით, როდის დაღამდება

„საერთო გაზეთის“ სტუმარია ფილოსოფოსი ზაზა შათირიშვილი:

— ზაზა, ამერიკის საელჩომ „ხალხის ძალა“ ქართულ-ამერიკული ურთიერთობების ძირის გამოთხრაში დაადანაშაულა. რეალურად, რასთან გვაქვს საქმე?

— რა თქმა უნდა, პრო-რუსულ არგუმენტს არანაირი საფუძველი არ აქვს. ეს, უბრალოდ, იარლიყის მიკერების გარკვეული იდეოლოგიური იარაღია. მხოლოდ „ხალხის ძალას“ როდი ვგულისხმობ. ვინც რუსულ არგუმენტს იყენებს, ის პირველი კონსპიროლოგი გახლავთ. ისმის კითხვა: რით არის გამოწვეული ამერიკის ახლანდელი ადმინისტრაციის დაპირისპირება და კრიტიკა? პასუხი მარტივია — საქართველოს მიმართ არასწორი პოლიტიკით. პრობლემა ადმინისტრაციასთან არსებობს და არა, ზოგადად, ამერიკასთან. ეს მიმდინარე პრობლემაა, რაც 8 ნოემბრის არჩევნების შემდეგ ძალიან შესუსტდება. 2024 წლის არჩევნების მერე კი — საერთოდ გაქრება. იმიტომ რომ, უბრალოდ, „დემოკრატების“ კანდიდატის გამარჯვება ვერ წარმომიდგენია. ეს, რა თქმა უნდა, „დემოკრატიული პარტიის“, ფართო გაგებით კი, პოლიტიკური ისტებლიშმენტის კრიზისია. ჩემი დაკვირვებით, „რესპუბლიკელები“ ფუნქციურად საკუთარ ხალხთან უფრო ახლოს არიან. რაც შეეხება „დემოკრატიული პარტიის“ ისტებლიშმენტს და ელიტას, მას მოსახლეობასთან კომუნიკაციის სერიოზული პრობლემა აქვს. დიახ, ისინი გეოპოლიტიკურ ინტერესებს გადაჰყვნენ და საკუთარ მოსახლეობასთან კონტაქტი დაკარგეს, რამაც აღნიშნული ვითარება გამოიწვია. ამ მხრივ „რესპუბლიკელების“ ფრონტზე ბევრად უკეთესი სიტუაციაა, რასაც მივესალმები. ასე რომ, ეს პრობლემა ნებისმიერ ადმინისტრაციასთან შეიძლება გაჩნდეს. ანუ, ამერიკა, როგორც ზოგადად, პარტნიორი და ამჟამინდელი ადმინისტრაცია, ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთ.

— ამას ცხადჰყოფს დეგნანის რადიკალური ცვლილებაც ბაიდენის ადმინისტრაციის მოსვლის შემდეგ?

— დიახ, ელჩი ხომ საკუთარ მოსაზრებას არ გამოხატავს — ადრე ტრამპის ადმინისტრაციის პოზიციას გამოხატავდა, ახლა — ბაიდენისას. ელჩი ადმინისტრაციის მესიჯის გამომხატველია. ახალ ადმინისტრაციასთან პრობლემები წარმოიშვა და ეს მხოლოდ საქართველოს არ ეხება. ამერიკის სხვა სტრატეგიულ პარტნიორებსაც აქვთ ადმინისტრაციასთან პრობლემები, რაც, სამწუხაროდ, იდეოლოგიით და არა გეოპოლიტიკური თანამშრომლობით ან პარტნიორობით არის გამოწვეული.

— დეგნანის განცხადებით: ამერიკამ საქართველოს სუვერენიტეტის გაძლიერებაში დიდი როლი შეასრულა. რაში გამოიხატა ყოველივე?

— თომას დე ვაალის ფრაზა გავიხსენოთ ამერიკის პარტნიორულ კი არა, არამედ კლიენტისტურ დამოკიდებულებასთან დაკავშირებით. ფართო გაგებით, დე ვაალი მართალია. რაც უნდა ახლოს იყო პარტნიორთან, როცა ერთი მხარე გაძლიერებულია და მრავალპოლუსიანი პოლიტიკის წარმოების საშუალება აქვს, ეს ქვეყნისთვის ძალიან ცუდია. აი, ასეთ სიტუაციაში აღმოვჩნდით. არსებობს ღირებულებები და არსებობს პოლიტიკა, რაც ერთმანეთს ხშირად არ ემთხვევა. ცალკეა გარკვეული ღირებულებები, რაც ქვეყანას, მის კულტურას გააჩნია და მეორე მხარესაა პოლიტიკა, როგორც რაღაცის მიღწევის ხელოვნება. პოლიტიკა ყველაფერი როდია. ეს გახლავთ ქვეყნებთან გარკვეული ურთიერთობები. ცნობილი გამონათქვამი: ინგლისს აქვს მარადიული ინტერესები, მაგრამ არა ჰყავს მეგობრები, ეს არამარტო ამ ქვეყანას ეხება, არამედ ყველას. კი ბატონო, გარკვეულ სიტუაციაში აშშ-მ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, რათა დამოუკიდებელ საქართველოს საერთაშორისო სივრცეში გარკვეული ადგილი დაემკვიდრებინა. ეს, რა თქმა უნდა, ასეა, რასაც, მოყოლებული 1991 წლიდან და უფრო ადრეც, ყოველთვის ვესწრაფოდით. მაშინდელი ეროვნული მოძრაობა ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მთავარი პარტნიორი აშშ უნდა იყოს და ჩვენი მიზანი ნატოში შესვლაა. ამის დეკლარირება ჯერ კიდევ მაშინ ხდებოდა, როცა საქართველო საბჭოთა კავშირის წევრი იყო. ეროვნული მოძრაობის გამარჯვების ერთ-ერთი პირობა ის გახლდათ, რომ ის პრო-დასავლურ ორიენტაციას მხარს უჭერდა. ამის მერე არაფერი შეცვლილა. უბრალოდ, ამ 30 წლის განმავლობაში, რა თქმა უნდა, შეიცვალა ტექსტები, კონტექსტები. ბუნებრივია, გაყინული და მარადიული არაფერია. ოჯახშიც ხდება კონფლიქტები. ასე რომ, პარტნიორთან შექმნილი პრობლემები ნორმალურია. პრო-რუსულობაზე ყიჟინი არაჯანსაღი პროცესია. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს რუსეთსა და ამერიკას შორის რაღაც გარიგება მოხდა. ასეთი მაგალითები არსებობს, განსაკუთრებით, „თელასთან“ დაკავშირებული ისტორიები. სამწუხაროდ, რუსული არგუმენტი სხვა არაფერია, თუ არა რაღაც იარლიყის მიწებება. ეს აბსოლუტურად რიტორიკული, შინაარსისგან დაცლილი არგუმენტია. ეს გარკვეული მითოლოგემა, ანუ იდეოლოგემაა.

— ზაზა, როგორ გესმით ელჩის განცხადება ხელისუფლების არალეგიტიმურობაზე? ეს ნაცებისთვის მწვანე შუქის ანთება და რევოლუციისკენ მოწოდება ხომ არ არის?

— ცხადია, ასეა. ყველაზე ცუდი ისაა, რომ აშშ-მ, თავის დროზე, ეს არჩევნები ლეგიტიმურად აღიარა და ახლა, უცებ, არალეგიტიმური გახდა, რამაც პარტნიორთან გარკვეული პრობლემები შექმნა. ეს ან ძალიან არასერიოზულია ან პირიქით, იმის გამოხატულებაა, რომ საქმე სულ სხვა რაღაცასთან გვაქვს — არა რეალურ ურთიერთობასთან, არამედ შანტაჟთან. გამოდის, ელჩს პრინციპები არ გააჩნია?!. სწორედ ამ ტიპის გამონათქვამები ქმნის ჩვენს ურთიერთობებში პრობლემებს. ხელისფლება ყველაფერში მართალია. დასავლეთს „ხალხის ძალა“ აკრიტიკებს. „ქართული ოცნების“ მხრიდან ამ თემაზე წუხილი გამოითქვა.

— რაც შეეხება ომში ჩართვის მოწოდებებს, ამერიკამ, მსგავსი არაფერი გამიკეთებიაო. რეალობა, როგორია?

— საერთოდ, არსებობს კენანის დოქტრინა, რომელიც თავისი არსით, რუსეთთან მიმართებაში, სწორია, რაც მის (რუსეთის) შეკავებას გულისხმობს. ეს რუსეთთან მიმართებით აშშ-ის ამოსავალი დებულებაა, რაც სრულიად გასაგებია. მეორე მომენტია, რამდენად ეფექტურია ამ მიმართულებით კონკრეტული ადმინისტრაცია. აქედან გამომდინარე, დოქტრინის ხორცშესხმა შეიძლება იყოს ეფექტური ან არაეფექტური. შეიძლება ამ ყველაფერს გარკვეული, აგრესიული ფორმა ჰქონდეს და ეფექტური არ გამოდგეს. მეჩვენება, რომ დღევანდელი ფორმა არაეფექტურია. აქედან გამომდინარე, შეკავების სხვადასხვა მეთოდი არსებობს. რიგითი დამკვირვებლის გადმოსახედიდან, ვიტყოდი, რომ ამერიკასა და რუსეთს შორის გარკვეული დაძაბულობა, ღირებულებითი განსხვავებებიდან გამომდინარე, ბუნებრივია, ყოველთვის

სინგაპურის სასამართლოს გადაწყვეტილება სულ მალე გამოცხადდება და ძალიან მაღალი ალბათობით, ბიძინა ივანიშვილი, ბერმუდის საქმის მსგავსად, ამ საქმესაც მოიგებს, რაც სამართლიანობის აღდგენისკენ გადადგმული კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება. ასევე, კმაყოფილება მინდა გამოვხატო იმ ფაქტითაც, რომ სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე, ბანკს ბიძინა ივანიშვილისთვის მარტიდან გაჩერებული თანხების მართალია მცირე, მაგრამ გარკვეული ნაწილის გადმორიცხვა უკვე მოუწია.

ბიძინა ივანიშვილს, საერთო ჯამში, შვეიცარიაში 2 მილიარდ დოლარზე მეტი აქვს დანაშაულებრივად დაკავებული. ივანიშვილი ამ თანხის უდიდესი ნაწილის საქართველოში ქველმოქმედებაზე მიმართვას აპირებს, ივანიშვილის მიერ მისი დაბრუნებით, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქეები, სუბიექტურადაც უნდა ვიყოთ დაინტერესებული.

როგორც ირკვევა, ივანიშვილს თანხა „კრედიტ სუისში“ 2005 წლიდან ჰქონდა ჩადებული და ბანკი მას 3 წლის მანძილზე პრობლემების გარეშე ემსახურებოდა. პრობლემები სათავეს 2008 წლიდან იღებს, როდესაც შვეიცარიულმა ბანკმა ბიძინა ივანიშვილის ანგარიშის გაუგონარი ძარცვა დაიწყო. ეს ზუსტად ის დროა, როდესაც 7 ნოემბრისა და საპრეზიდენტო არჩევნების ტოტალური გაყალბების შემდეგ, ივანიშვილმა სააკაშვილს მძიმე პოლიტიკური დიაგნოზი საბოლოოდ დაუსვა და მასთან ყოველგვარი კომუნიკაცია შეწყვიტა. ივანიშვილის შვეიცარიული ანგარიშიდან ყველაზე მსხვილი თანხები სწორედ იმ პერიოდში, 2008-2010 წლებში მოიხსნა.

როგორც ბიძინა ივანიშვილისგან პირადად მაქვს მოსმენილი, მას 2007 წლის 7 ნოემბერს ადამიანების სასტიკ დარბევაზე და ტელეკომპანია „იმედში“ შეჭრაზე ძალიან მკვეთრი რეაქცია ჰქონდა. როგორც ცნობილია, სააკაშვილს მაშინ თანამდებობიდან გადადგომა მოუწია, თუმცა, 2008 წლის 5 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნები უხეშად გააყალბა, რაც ივანიშვილისთვის საბოლოო წითელ ხაზად იქცა. 2008 წლის იანვარში ის სააკაშვილს დაემშვიდობა და ყოველგვარი კომუნიკაცია აუკრძალა.

„კრედიტ სუისის“ მენეჯმენტს სრულად ამერიკელები აკონტროლებენ და ბიძინა ივანიშვილის საბანკო

იქნება. ამავე დროს, შეკავება განადგურებას არ გულისხმობს. ესა თუ ის პოლიტიკა, მეტ-ნაკლებად, გარკვეულ ურთიერთობებს ნიშნავს. დგება დრო, როდესაც ეს ყველაფერი მთავრდება და ომი იწყება. რუსეთ-უკრაინის ომს, შეიძლება, სხვადასხვა სახე ჰქონდეს. ამჟამად რასაც ვუყურებ, ეს დასავლეთსა და რუსეთს შორის გარკვეული დაპირისპირებაა. თუმცა, დასავლეთიც სულ უფრო და უფრო მონოლითური მეჩვენება. რიგი ქვეყნები დაწესებულ სანქციებს იზიარებენ თუ არა, მეტ-ნაკლებად, მხარს უჭერენ. ვიმეორებ, რაც უნდა სწორი იყოს დოქტრინა, არსებობს მისი ხორცშესხმა, რომელიც ხან ეფექტურია, ხან — არა. არ მგონია, რომ დღეს, ეს რუსეთის ეფექტური შეკავებაა. ამ თვალსაზრისით, ის როლი, რასაც საქართველოს ანიჭებენ,

სწორი არ არის. ჩვენი ქვეყნის ომში ჩართვა არაადეკვატურია.

— ის, რაც საქართველოში ხდება, გარკვეულწილად, გარე ფაქტორებით არის განპირობებული. დასავლურმა სამყარომ იმუნიტეტი დაკარგა?

— მოდი, ასე ვთქვათ: იტალიის ბოლო არჩევნები და ბრიუსელისადმი ისეთი ქვეყნების დამოკიდებულება, როგორებიც პოლონეთი და უნგრეთია, კარგად გვიჩვენებს, რომ ევროპა, როგორც ერთიანი პოლიტიკური სივრცე, გარკვეულ პრობლემებს განიცდის. ეს ბუნებრივიცაა, ერთ ადგილას არაფერი დგას. არსებობს ევროპული კულტურა და პოლიტიკა, რაც ერთმანეთს არ ემთხვევა. აქედან გამომდინარე, ადამიანი შეიძლება დასავლური კულტურის მატარებელი იყოს, მაგრამ ევროპის ან ბრიუსელის მიმდინარე პოლიტიკა არ მოსწონდეს. ესეც სავსებით ბუნებრივია. ღერძულ ქვეყნებს შორის, როგორებიც გერმანია და საფრანგეთია, გარკვეული ღირებულებითი განსხვავებები არსებობს. ევროსკეპტიკოსები ამბობენ, რომ ეს ევროკავშირის დაშლას მოასწავებს, რაც ცოტა რთული საკითხია. ევროპა ისე მონოლითურად არ გამოიყურება როგორც 30 ან თუნდაც 20 წლის წინ. თუმცა, 20 წლის წინაც იყო სერიოზული განსხვავებები. კარგად მახსოვს, ჟაკ შირაკის დროს საფრანგეთი ამ კამპანიაში არ ჩაერთო. შირაკსა და იმ პერიოდის ამერიკის ადმინისტრაციას შორის სერიოზული პრობლემები წარმოიშვა. მაგრამ, ასე თუ ისე, შირაკის შემდეგ და მეტ-ნაკლებად, ყირიმის პრეცედენტამდე, ევროპა უფრო მონოლითურად გამოიყურებოდა. დღეს ასე აღარ არის. რას მოასწავებს ყოველივე? მოგეხსენებათ, არსებობს ცენტრიდანული და ცენტრისკენული ტენდენციები, ხან ერთი წამოვა წინა პლანზე, ხან მეორე. ეს ნებისმიერი ორგანიზმის დამახასიათებელი მომენტია. ნებისმიერ ორგანიზმში, სანამ ის ცოცხალია, არსებობს შინაგანი წინააღმდეგობებიც და სინთეზური მომენტებიც. ამ თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, დღეს უფრო მეტი შეკითხვებია, ვიდრე ათი წლის წინათ იყო.

— ზაზა, ევროპაში იყო ინკვიზიციაც, ფაშიზმიც. დღევანდელ კრიზისს როგორ ახსნით?

— ინკვიზიცია, ფაშიზმი სხვადასხვა ტიპის მოვლენებია. კი, რა თქმა უნდა, ნაციზმსა და ლიბერალიზმს შორის დაპირისპირება ევროპაში გაჩნდა. ეს იქ არავის შეუტანია, ევროპული იდეაა, რომელიც დღეს უარყოფილია, მაგრამ, ცხადია, ევროპაში გაჩნდა. ევროპის კრიზისზე ბოლო 100 წელია, საუბრობენ. ერთ-ერთი პირველი გახლდათ ოსვალდ შპენგლერის წიგნი „ევროპის დაისი“. ზუსტად 1922 წელს წიგნის მეორე ტომი გამოვიდა. შემდეგ ევროპის კრიზისზე ბევრი საუბრობდა, მათ შორის, ტომას ელიოტი და სხვები. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, გარკვეული ეიფორია გაჩნდა. ლიბერალურმა დემოკრატიამ გაიმარჯვა, სხვა პროექტი არ არსებობდა. კომუნისტური პროექტი, საბოლოოდ, დამარცხდა და ევროპულმა იდეამ გაიმარჯვა. დღეს ეს ეიფორია უკვე აღარ არის. ახლა ახალი რეალობაა. ისევ დადგა ევროპული ღირებულებების კრიზისის საკითხი. ვიმეორებ: ისტორიული თვალსაზრისით, ეს სავსებით ბუნებრივია, ერთ ადგილას არაფერი დგას. ის, რომ ადამიანი სვამს შეკითხვას, ეს მისთვის დამახასიათებელია. ადამიანისთვის საკუთარი ადამიანობა ყოველთვის პრობლემური იყო. მათ შორის, ევროპული ადამიანისთვისაც. ევროპულ კონტექსტში თუ განვიხილავთ, არსებობს პრობლემა, რომელიც ხან მიინავლება, ხან წარმოიშობა. ახლა გარკვეულად ცუდი დროა. ავიღოთ თუნდაც ომი, რაც ახლა ევროპაში მიმდინარეობს და რომლის მსგავსიც დიდი ხანია, არ ყოფილა. იუგოსლავიის კრიზისი მაინც შიდა-სამოქალაქო დაპირისპირება იყო. ეს არ გახლავთ შიდა-სამოქალაქო დაპირისპირება, არამედ, გარკვეული აზრით, ესაა ომი, რომელიც მიმდინარეობს არამხოლოდ რუსეთსა და უკრაინას შორის, არამედ ირიბად მასში ბევრი სხვა ქვეყანაა ჩართული — ზოგი ნეიტრალურად, ზოგი ირიბად, ზოგი პირდაპირ. ეს ყველაფერი კარგად გვიჩვენებს, რომ დანიის სამეფოში რაღაც ვერ არის ბოლომდე კარგად საქმე. დიახ, ვერ არის საქმე ისე სტაბილურად, როგორც აქამდე წარმოგვედგინა. თავისთავად, რა თქმა უნდა, საბოლოო ანგარიშით, ეს გლობალური საკითხია. ამავე დროს, თავისი არსით, წარმოშობით და ბუნებითაც, ეს დასავლური ცივილიზაციის პრობლემაა იმიტომ, რომ რუსეთი დასავლური ცივილიზაციის ნაწილია. რაც ახლა ხდება, ეს, რა თქმა უნდა, დასავლეთის კრიზისის ერთ-ერთი მანიშნებელია. დასავლეთი ამ კონფლიქტიდან გაძლიერებული ვერ გამოვა. ნებისმიერი მხარის გამარჯვება თუ დამარცხება, დასავლეთს ასუსტებს და არადასავლეთს აძლიერებს, რომლის ლიდერი, ცხადია, ჩინეთია. მოდი, ასე ვთქვათ, რუსეთი რაც უნდა პოზიციონირებდეს, ის მაინც დასავლეთის ნაწილია. უფრო მეტსაც ვიტყვი: რუსეთი დასავლეთის ფორ-პოსტია. რუსეთი და ამერიკა, ფართო გაგებით, ევროპის ორი პოლუსია, რაც შეიძლება სწორედ იმის მანიშნებელია, რომ დასავლური ცივილიზაციის რღვევა ხდება. დიახ, შესაძლოა, ეს დასავლეთის დასასრულის დასაწყისის ერთ-ერთი ნიშანია.

— ზაზა, ადრე, მითხარით: ევროკავშირის არსებობის ფუნქციას ვერ ვხედავო. დღეს, ევროკავშირში გასაწევრიანებლად მთავრობა 12-პუნქტიანი დავალების შესრულებაზე მუშაობს. გვინდა კი დღეს ევროკავშირი, ან აპირებენ კი ჩვენს მიღებას?

— ვფიქრობ, საქართველოში გადატრიალება, რევოლუცია შეუძლებელია. რევოლუციურმა პოტენციალმა საკუთარი თავი ამოწურა. საინტერესო თემაა, თუ რატომ ამოწურა რევოლუციებმა თავი? — იმიტომ, რომ იდეა აღარ არის. 2003 წელს, როცა რევოლუცია მოხდა, როგორც უნდა შევაფასოთ იგი და რა სახელიც უნდა დავარქვათ, რა თქმა უნდა, იქ იყო იდეა, გარკვეული მომავლის სურათი, ახლა ეს აღარ არის. რადგან აღარ ჩანს მომავლის სურათი, აღარც რესურსია. მეორე მხრივ, ევროკავშირის წარმოშობას თავისი მიზეზები ჰქონდა და აქვს. ევროკავშირი გარკვეულ სივრცეს წარმოადგენს. ეს იდეა განსაკუთრებით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გაჩნდა. საფრანგეთისა და გერ-

6 გვ.

ანგარიშის ძარცვაც მათგან იყო კოორდინირებული.

ბანკის მენეჯმენტმა ძარცვის შესახებ ჯერ კიდევ 2010 წელს ყველაფერი იცოდა, რასაც სისტემაში დაფიქსირებული ასეულობით განგაშის სიგნალიც ადასტურებს და ეს ფაქტი შვეიცარიის ფინანსური მარეგულირებელი ორგანოს ანგარიშში ოფიციალურად არის აღწერილი. თუმცა, ბანკის მენეჯმენტს ანგარიშის ძარცვაზე არათუ რეაგირება არ მოუხდენია, არამედ, პირიქით, დანაშაულის მთავარ ამსრულებელს, პატრის ლესკუდრონს იმ პერიოდში პრემიას პრემიაზე უწერდა. ეს ნიშნავს, რომ ივანიშვილის თანხების მითვისება ლესკუდრონის თვითშემოქმედება არ გახლდათ და ამ დანაშაულში ბანკის მთელი მენეჯმენტი იყო ჩართული.

ის გარემოებაც, რომ ბანკი ნაძარცვი ფულის დაბრუნებას წაგებისთვის განწირული სასამართლო პროცესების მეშვეობით აჭიანურებს, დამატებით ადასტურებს, რომ ეს ძარცვა მთლიანად ბანკის მენეჯმენტის კარნახით განხორციელდა.

საინტერესოა, რომ საუკუნის ძარცვის უშუალო ამსრულებელს, პატრის ლესკუდრონს შვეიცარიულმა სასამართლომ მხოლოდ 5 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა, ხოლო ვადაზე ადრე განთავისუფლების შემდეგ, ველოსიპედით სასეირნოდ გასული ლესკუდრონი საეჭვო გარემოებებში ტყეში ჩამომხრჩვალი იპოვეს. საინტერესოა ისიც, რომ ძარცვის საქმის ოქროს მოწმე ბიძინა ივანიშვილსა და ბანკს შორის სასამართლო დავის დაწყებამდე ცოტა ხნით ადრე დაიღუპა. ლესკუდრონის საეჭვო გარდაცვალების უკან სპეცსამსახურების ხელწერის ამოცნობა არცთუ რთულია.

სინგაპურში სამართლებრივი დავის მიმდინარეობისას, რომელიც 5-23 სექტემბერს წარიმართებოდა, ივანიშვილს „კრედიტ სუისის“ ახლად დანიშნულმა მთავარმა იურისტმა ბოდიშის მოსახდელად და მოსალაპარაკებლად საქართველოში ჩამოსვლა შესთავაზა. პროცესზე ის ღიად გამოხატავდა ივანიშვილის სასარგებლო პოზიციას, აგრეთვე უკმაყოფილებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ ბანკმა ეს საქმე სადაო გახადა და ივანიშვილს მორიგება იმთავითვე არ შესთავაზა.

სინგაპურში ივანიშვილის ინტერესებს რამდენიმე ადვოკატი წარმოადგენდა და ამ საკითხზე საუბარი მათთანაც თავისუფლად შეიძლებოდა. ყველაზე ლოგიკური ახსნა იმისა, თუ რატომ სურდა მთავარ იურისტს ივანიშვილთან პირადად მოლაპარაკება, ისაა, რომ ამ საუბრის საგანი არა ფინანსები, არამედ პოლიტიკა უნდა ყოფილიყო.

მეორე თეორიული ვერსია ისაა, რომ მთავარმა იურისტმა საქმის პოლიტიკური მხარის შესახებ თვითონ არაფერი იცოდა და ამის შესახებ ბანკის მენეჯმენტისგან მხოლოდ ბოლო მომენტში შეიტყო. თუმცა, იმის ალბათობა, რომ ყველაზე მსხვილი შვეიცარიული ბანკიდან „კრედიტ სუისში“ ცოტა ხნის წინ საგანგებოდ გადაყვანილი მთავარი იურისტი ინფორმაციის ამგვარ დეფიციტს განიცდიდა, დამეთანხმებით, ძალიან მცირეა.

საბოლოოდ, ბიძინა ივანიშვილმა ვითარება სწორად გააანალიზა და ბანკის მთავარ იურისტს სავსებით სწორად მიანიშნა, რომ შანტაჟის ქვეშ ვერავის ვერაფერზე მოელაპარაკებოდა. ამით მან კუთვნილი 2 მილიარდი დოლარის დაბრუნებაზე არცთუ მცირე ხნით თქვა უარი, თუმცა, სამაგიეროდ, ქვეყანას საბედისწერო ომის საფრთხე კიდევ ერთხელ ააცილა თავიდან.

ბანკის მენეჯმენტი თვითდაზიანების

ჩვენ იმ ბინდბუნდში შევედით, სადაც რთულია დაინახო რა არის რეალობა, ხელების ცეცებით დავდივართ და არ ვიცით, როდის დაღამდება



5 ბ3.

მანიის წინააღმდეგ ომის გადალახვამ ე.წ. ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება წარმოშვა. რობერტ შუმანის იდეა იყო ერთიანი ევროპა, რისი იარაღიც ევროკავშირია. დღეს რობერტ შუმანის იდეები ცოცხალია. იგი კათოლიკე ეკლესიის ნეტარად არის შერაცხილი, როგორც ბერული ცხოვრებით მცხოვრები ასკეტი და ჭეშმარიტი ქრისტიანი. ეს ერთი საკითხია. აქვე შევნიშნავ, რომ თორმეტი ვარსკვლავი ღვთისმშობლის გვირგვინის სიმბოლოა. ამ იდეის სამი ლიდერი — რობერტ შუმანი, ალჩიდე დე გასპერი და კონრად ადენაუერი, სამივე კათოლიკე ეკლესიის ერთგულნი იყვნენ. კონრადი ქრისტიანული სიქველეებით გამოირჩეოდა. დღეს რა დარჩა ამ ყველაფრიდან, რამდენად ცოცხალია ეს იმპულსი? — არ ვიცი, ბევრი კითხვის ნიშანი მაქვს. როგორც ამ პროცესების რიგითი დამკვირვებელი, გეტყვით: ნებისმიერ პოლიტიკურ ორგანიზმს, გარკვეულ ერთიანობას თავისი გარკვეული კონტექსტი აქვს. ახლა ამ კრიზისმა ამოხეთქა. ომი ევროპის საზღვარზე, ეს არის შიდა დასავლური კონფლიქტი, რომელიც გავლენას მთელს მსოფლიოზე ახდენს.

— ეს მესამე მსოფლიო ომია?

— არის თუ არა ეს მესამე მსოფლიო ომი, ნელ-ნელა გაირკვევა. მაგალითად, მის უწმინდესობას, რომის პაპს ფრანცისკეს მიაჩნია, რომ მესამე მსოფლიო ომი დაწყებულია. ბევრი ამ მოსაზრებას იზიარებს. პირადად მე ამ საკითხზე ცალსახა, მკაფიო პასუხი არ მაქვს, თუმცა, ინტუიცია მიბიძგებს ამ მოსაზრებას მეც დავეთანხმო. ყველაფრის, როგორც ღირებულებების, ასევე საომარი ქმედებების არამკაფიო მესიჯების ჩართულობების თანამედროვე გადღაბნილობა, რა თქმა უნდა, ძალიან ართულებს შეფასებას, რასთან გვაქვს საქმე. შინაგანად მგონია, რომ მისი უწმინდესობა მართალია და ჩვენ უკვე მესამე მსოფლიო ომში ვართ. არსებობს მოსაზრება, რომ სინამდვილეში მეორე მსოფლიო ომი 1938 წელს დაიწყო, როცა ავსტრიის ანშლუსი მოხდა. არ ვიცი, შეიძლება ჩვენ ახლა დაახლოებით, 1938 წელში ვართ, მაგრამ ამ ყველაფერს, რა თქმა უნდა, ატომური იარაღის ფაქტორი აძლიერებს. ამასთან დაკავშირებული აპოკალიფსური შიშები მინავლებული იყო. საბჭოთა კავშირის დანგრევამ გამოიწვია ის, რომ ატომური აპოკალიფტიკა მეორე პლანზე გადავიდა. 60-70-იან წლებში ამ მხრივ ორი ძალიან სერიოზული მომენტი იყო. მაგალითად, ბერგმანის ფილმში „ზიარება“, ერთ-ერთი პერსონაჟი თავს იკლავს სწორედ ატომური აპოკალიფსის შიშით. საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ, აპოკალიფსური შიშები მეორე პლანზე გადავიდა. ამის კარგი მაჩვენებელია ისეთი აპოკალიფსური ნარატივი, როგორიც არის ლარს ფონ ტრიერის „მელანქოლია“, სადაც აპოკალიფტიკა გამოიხატება არა ატომური შიშით, არამედ კოსმოსური კატასტროფით, როდესაც დედამიწას პლანეტა დაეჯახება. ესეც ძალიან სიმპტომურია. კიდევ ერთი ბოლო, ძალიან სერიოზული ფილმი, სადაც ატომური აპოკალიფტიკაა, გახლავთ ტარკოვსკის „მსხვერპლშეწირვა“, რომელიც მან 1985 წელს გადაიღო. სხვათა შორის, „მელანქოლია“ ანდრეი ტარკოვსკის ეძღვნება. ეს არის სრულიად ცალსახა მინიშნება ტარკოვსკის „მსხვერპლშეწირვაზე“, მაგრამ საინტერესოა, რომ კონტექსტი შეცვლილია. ანუ, ატომური აპოკალიფსის ნაცვლად აქ კოსმოსური აპოკალიფსია. ესეც ძალიან სიმბოლურია. ატომური აპოკალიფსის თემა ისევ დადგა. ესეც რაღაცის მანიშნებელია. პირველი მსოფლიო ომის მერე თომას მანმა „ჯადოსნური მთა“ დაწერა. სწორედ „ჯადოსნური მთა“ არის მოცალეობის და ჭვრეტის კლასიკური ევროპული კულტურა, რომელიც ჩამოიქცა. დიახ, ეს ყველაფერი ჩამოინგრა და კაცი ომში აღმოჩნდა. სად წავიდა მთელი ეს განათლება?! თომას მანის „ჯადოსნური მთის“ ფინალი არამარტო ირონიული, არამედ ძალიან უჩვეულოა, პასუხი არ არსებობს. ერთი, რასაც თომას მანი გვიჩვენებს, ეს არის კლასიკური ევროპის დასასრული. მეორე მსოფლიო ომმა მოიტანა ხიროსიმა და ნაგასაკი, ატომური აპოკალიფსი, რომელიც თითქოს საბჭოთა კავშირის მერე შენელდა, ახლა ისევ დადგა იმ გადღაბნილობის, გაუგებრობის დრო. მომავალი სულ უფრო და უფრო ბუნდოვანი ხდება. რაც მთავარია, არ არიან ისეთი ფიგურები, რომლებიც რაღაცას გვიჩვენებდნენ — არც თომას მანია, არც ტარკოვსკი. არც ლარს ფონ ტრიერია, რომელიც რაღაცნაირად გამოსავალს გვიჩვენებს. ამის წაკითხვა ალეგორიულად შეიძლება. ანუ, რა დაგვრჩა, რა არსენალი გვაქვს ამ ყველაფერთან საბრძოლველად. რომის იმპერია ერთ დღეში არ დანგრეულა, ხომ? 410 წლიდან თეოდორიხამდე ასი წელი და კიდევ მეტია. ბუნებაში მწუხრი დიდხანს გრძელდება — დაბნელებას ერთი ან ორი საათი უნდება. როგორც ჩანს, ჩვენ იმ ბინდბუნდში შევედით, სადაც რთულია დაინახო: რა არის რეალობა, ხელების ცეცებით დავდივართ და არ ვიცით, როდის დაღამდება. ჰაიდეგერიც თავის ბოლო ინტერვიუში ბნელ ღამეზე ლაპარაკობდა. იგი ამბობდა: ბნელი ღამე მოდის და ღმერთი თუ გადაგვარჩენსო. იგი დიდად მორწმუნე ადამიანი არ იყო. ეტყობა, ეს დრო მოვიდა ბინდბუნდისა და დიდი ღამის მოლოდინში.

თამარ შველიძე
555 23 28 24

რეჟიმში მოქმედებს და როგორც „კრედიტ სუისს“, ისე, ზოგადად, შვეიცარიის საბანკო სისტემას შეგნებულად ანგრევს. სხვა ახსნა „კრედიტ სუისის“ მენეჯმენტის მიერ ივანიშვილის გაუგონარ ძარცვას და ამ ძარცვის გამოვლენის შემდეგ, თანხის არდაბრუნებას, უბრალოდ, ვერ ექნება. ეს კი, თავის მხრივ, იმას ნიშნავს, რომ ბანკის მენეჯმენტი გარე ძალის კარნახით მოქმედებს, რომელსაც არა ფინანსური, არამედ პოლიტიკური მოტივი ამოძრავებს.

ივანიშვილის ადვოკატების წერილი კიდევ ერთხელ მარწმუნებს, რომ ვითარება ბევრად უფრო საგანგაშოა, ვიდრე თავდაპირველად ვფიქრობდი. თავიდან მეგონა, რომ ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში შესვლის გამო დასაჯეს. თუმცა, როგორც ირკვევა, ამერიკელებს მისი დასჯის გადაწყვეტილება ჯერ კიდევ მაშინ მიუღიათ, როდესაც მან მათ აგენტებთან, ანუ სააკაშვილის ხელისუფლებასთან ურთიერთობაზე თქვა უარი. ბიძინა ივანიშვილი, რომელიც წინა ხელისუფლებას 2004-2007 წლებში აქტიურად ეხმარებოდა, ამერიკელებმა მათ მთავარ აგენტთან, მიხეილ სააკაშვილთან გამიჯვნისთანავე დასაჯეს და მას საბანკო ანგარიში გაუძარცვეს.

ამერიკელების მიდგომის მიხედვით, ქვეყანაში წარმატებული და დამოუკიდებელი კაცი არ უნდა არსებობდეს. მათი თანამშრომლები წარმატებულ ისტორიულ მოღვაწეებსაც კი ერჩიან. რა გასაკვირია, რომ წარმატებულ ადამიანებს ისინი თანამედროვეობაში კიდევ უფრო მეტად ვერ იტანენ და ებრძვიან.

შვეიცარია არის იმის საუკეთესო მაგალითი, თუ როგორ ანგრევენ ამერიკელები ყველაფერ წარმატებულს, რაც მათი იდეოლოგიისა და ხელწერის ერთ-ერთი ყველაზე მძიმე გამოვლინებაა. ადრეც არაერთგზის ვთქვი, რომ ივანიშვილის ანგარიშის ძარცვით, ამერიკელები ერთდროულად ორ კურდღელს იჭერდნენ: ერთი მხრივ, ივანიშვილს უქმნიდნენ პრობლემას, ხოლო, მეორე მხრივ, „კრედიტ სუისისა“ და შვეიცარიული საბანკო სისტემის რეპუტაციას ანგრევდნენ.

ის მოდელი, რომელიც ამერიკელებმა შვეიცარიაში აამოქმედეს, სააკაშვილის ხელისუფლების დროს დანერგილ მართვის სქემას ძალიან წააგავს. მონოპოლიზებული ეკონომიკა და ასევე მონოპოლიზებული, მკაცრ პოლიტიკურ ცენზურას დაქვემდებარებული მედია, მანკიერ პოლიტიკურ ინტერესებს დამორჩილებული სასამართლო სისტემა, ფინანსურად წარმატებული ადამიანების რეკეტი და ამ ყველაფრის ერთი ცენტრიდან, ამერიკული აგენტურის ხელით მართვა, არის ხელწერა, რომელიც ივანიშვილის საქმიდან მკაფიოდ იკითხება და რომელიც სააკაშვილის ხელისუფლების პერიოდის მართვის მოდელს ასე ძალიან მოგვაგონებს.

ნაციონალები მოქმედ ხელისუფლებას ხშირად აბრალებენ, ქვეყანა ივანიშვილის ფულს გადააყოლესო. სინამდვილეში, მისი ადვოკატის წერილიდან ირკვევა, რომ ივანიშვილს, პოლიტიკური გარიგების სანაცვლოდ, 2 მილიარდ დოლარზე მეტს უბრუნებდნენ და მან ამ მაცდუნებელ გარიგებას ქვეყნის ინტერესების გამო ხელი არ მოაწერა. შესაბამისად, გამოდის, რომ ხელისუფლებამ კი არ გადააყოლა ივანიშვილის ფულს ქვეყანა, არამედ ივანიშვილმა გადააყოლა ქვეყანას თავისი ფული.

ბიძინა ივანიშვილმა ქვეყნისთვის კრიტიკულ მომენტში ღირსეული და გაბედული გადაწყვეტილება მიიღო

ეს პატრიოტული ნაბიჯია, ივანიშვილმა არ გაგვყიდა!

გვესაუბრება „ქართული დასის“ თავმჯდომარე ჯონდი ბაღათურია:

— ბატონო ჯონდი, რა ხდება პოლიტიკურ საჭადრაკო დაფაზე, რა გადალაგებებია?

— ცხელი პოლიტიკური შემოდგომა დადგა. საინტერესო პროცესი მიმდინარეობს — „ქართულ ოცნებას“ გამოყოფილი პოლიტიკოსები სერიოზულ ნაბიჯებს დგამენ და ისეთ საკითხებზე საუბრობენ, რასაც ადრე ტაბუ ედო. მიმაჩნია, რომ „ხალხის ძალის“ თაოსნობით მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა. მათ ღიად განაცხადეს, ამერიკის ელჩი როგორ ითრევდა საქართველოს ომში და როგორ ცდილობდა ქვეყანაში დესტაბილიზაციის შექმნას. ეს საკმაოდ მძიმე ბრალდებებია. ელჩი ახლა თავის მართლების რეჟიმშია.

— „ქართულმა ოცნებამ“ უმრავლესობა დაკარგა. რა საფრთხეებია ამ კუთხით მოსალოდნელი?

— არ მგონია, „ხალხის ძალამ“ კანონპროექტების დაბლოკვა დაიწყოს. მთავარია, რომ გაჩნდა ძალა, რომელიც საკმაოდ ეფექტურად იყენებს საპარლამენტო ტრიბუნას იმისთვის, რათა ქვეყანას ომში ჩათრევა თავიდან ააცილოს და არ დაუშვას ფერადი რევოლუცია, რაც აშკარად იგეგმება. ამ ყველაფერში ჩართულია მეხუთე კოლონა, ანუ ის ხალხი, ვინც საკუთარ თავს ოპოზიციას უწოდებს.

— მეორე ფრონტის თემა დღის წესრიგიდან არ მოხსნილა?

— რა თქმა უნდა, არა. მათ ეს ჰაერივით სჭირდებათ. აშშ-ს, რუსეთისა და ჩინეთის ირგვლივ, რაც შეიძლება ბევრი ცხელი წერტილი სჭირდება. ამერიკის ინტერესი გასაგებია. მაგრამ რატომ უნდა შევეწიროთ მის ინტერესს ჩვენ, აი, ეს აბსოლუტურად გაუგებარია. დასავლეთმა, სხვადასხვა ქვეყნიდან თავისი სატელიტი ხელისუფლებები გამოიყენა, მათ შორის, ევროპაში. გერმანიისთვის — ამ დიდი ქვეყნისა და ისტორიის ერისთვის, სრულიად სამარცხვინოდ აღმოჩნდა, რომ აბსოლუტურად მარიონეტული მთავრობა ჰყავს. ჩვენი ქვეყანა უფრო მეტ სუვერენიტეტს ამჟღავნებს, ვიდრე გერმანია. გერმანია, პრაქტიკულად, განადგურების პირასაა მისული. ეკონომიკის გიგანტებმა გერმანიიდან გასვლა დაიწყეს. თანაც, ისეთმა ადგილობრივმა მონსტრებმა, როგორებიცაა „ფოლკსვაგენი“ და „სიმენსი“. ამ კომპანიებმა აშშ-ში გადაინაცვლეს. რეალურად, ომი თითქოს რუსეთის წინააღმდეგ მიმდინარეობს, სინამდვილეში, ამერიკა ევროპის ეკონომიკას ანადგურებს. დიახ, ევროპის ეკონომიკის გაძარცვა, აშშ-ში ბიზნეს აქტორების და ევროპული კაპიტალის გადადინება ხორციელდება. ამ ფონზე „ქართულმა ოცნებამ“ ძალიან პასუხისმგებლიანი გადაწყვეტილებები მიიღო, რაც დასაფასებელია. გაბედული და პატრიოტული ნაბიჯია ის, რომ ჩვენმა ხელისუფლებამ ქვეყანა რუსეთის ხახაში არ ჩააგდო. ამ საქმეში სერიოზული წვლილი შეაქვს „ხალხის ძალას“, რომელმაც საერთაშორისო საზოგადოების ყურადღება მიიქცია და იმ პოლიტიკურ ძალებს, ქვეყნის გარეთ თუ შიგნით, რომლებიც ხელისუფლებაზე არნახულ ზეწოლას ახორციელებენ, დაბრკოლებები შეუქმნა. შედეგად, ქვეყანა ომში ვერ ჩაითრიეს, თუმცა, ახლა ფერადი რევოლუციის მოწყობა, გადატრიალების მოხდენა სურთ. აშშ-ს ამის ბერკეტები — ღია თუ ფარული მექანიზმები აქვს, ოღონდ, საბედნიეროდ, არ აქვს მთავარი — საზოგადოების მხარდაჭერა. მათ აქ არ ჰყავთ საყრდენად ისეთი პოლიტიკური ძალა, რომელსაც საზოგადოება ენდობა. მათ არ შეუძლიათ თუნდაც რამდენიმე დღით 50 ათასი კაცის გამოყვანა. იმიტომ რომ, ნებისმიერ გადატრიალებას, ბუნტს ხალხის უკმაყოფილების ჩვენება სჭირდება, რათა მერე კაბინეტებში შეიჭრან, გადატრიალება მოაწყონ და ამას ფერადი რევოლუცია დაარქვან. ეს ჩვეულებრივი პუტჩი გახლავთ. ამერიკას დაბალ სტრუქტურებში გადატრიალების მოხდენაზე წამსვლელი ხალხი ჰყავს, მაგრამ ხალხის მხარდაჭერა არ აქვს. პირადად მე იმედი მაქვს, რომ 8 ნოემბერს „დემოკრატები“ სენატშიც და კონგრესშიც არჩევნებს პირწმინდად წააგებენ. შესაბამისად, მათი ზეწოლის ინსტრუმენტები ბევრად უფრო არაპროდუქტიული და ნაკლებად ეფექტური გახდება. ძალაუფლების მნიშვნელოვან ბერკეტებს ხელში ტრამპის „რესპუბლიკელები“ აიღებენ, რაც ძალიან მნიშვნელოვან ცვლილებებს განაპირობებს.

— დეგნანმა განაცხადა, რომ „ხალხის ძალა“ ქართულ-ამერიკულ ურთიერთობებს ძირს უთხრის. რას იტყვით ამის თაობაზე?

— ამას ჩვენ კი არა, თავად ისინი აკეთებენ. დიახ, საკუთრივ ბაიდენის ადმინისტრაციამ ამერიკულ „დემოკრატიულ პარტიასა“ და ქართულ საზოგადოებას შორის ურთიერთობას ძირი გამოუთხარა. ქართველი ხალხი კარგად ხვდება, რომ ეს ადმინისტრაციის ინიციატივაა და არა ამერიკელი ხალხის. ამიტომაც არის, რომ საქართველოში 8 ნოემბრის არჩევნებს ბევრი ელოდება. კელი დეგნანზე ჯოხის გადატეხა არ ღირს. დიახ, ეს კელი დეგნანის კი არა, ბაიდენის ადმინისტრაციის და მისი უშუალო უფროსის, ენტონი ბლინკენის ბრალია. იგი ცდილობს, ჩვენს ქვეყანაში ამერიკის ინტერესები გაატაროს. ამერიკის ადმინისტრაცია მსოფლიოში ისეთ პოლიტიკას ატარებს, რაც ნამდვილად ჯდება იმ კონტექსტში, რომ საქართველომ ომი გააჩაღოს. ეს მათ აწყობთ, მაგრამ არა — ჩვენ. სარგებელი ორმხრივი უნდა იყოს. სახელმწიფოებს შორის ცალმხრივი, პლატონური სიყვარული არ გამოვა. ჩვენი ქვეყნის ინტერესი თავადაც უნდა გაითვალისწინონ. საქართველოს ახლა, უფლება არ აქვს რუსეთთან ომი გააჩაღოს.

— ოპოზიცია მმართველ ძალას ანტიდასავლურ კამპანიაში ადანაშაულებს. თავად რა ორიენტაციისაა?

— ეს ხალხი, ვინც სულელურ ბრალდებებს აყენებს, საკუთარ კუჭსა და ჯიბეზე არიან ორიენტირებულნი. მათ პოზიციას ანგარება განაპირობებს. რაც შეეხება იმას, თუ რამდენად ანტიდასავლურია ხელისუფლება, ეს კატეგორიული ტყუილია. მმართველი ძალა აშკარად პრო-დასავლურია კელი დეგნანის კრიტიკა პრო-დასავლელობას ან ანტი-დასავლელობას არ ნიშნავს, მით უმეტეს, პრო-რუსულობას. ეს არის პრიმიტივიზმი, რაც უტვინო პოლიტიკოსებს ახასიათებთ, რომელთაც საკუთარი ქვეყნის ინტერესები გაყიდული აქვთ და სხვისას ემსახურებიან. „ნაცმოძრაობა“ პრიმიტივიზმის მიმდევარია. იგი საკუთარ ღიპს იქეთ ვერ იხედება. რუსეთმა ახლა აქ, ამერიკელების მსგავსად, გრანტების მოცემა, ფინანსების ხარჯვა რომ დაიწყოს, რუსეთის მაქებართა რიგი დადგება. ეს გაყიდული ხალხია, რომელთაც ანგარების მეტი არაფერი ამოძრავებთ. ნაცები არც პრო-რუსები არიან, არც პრო-დასავლელები და, მით უმეტეს, არც პრო-ქართველები, ყველაფერს ფულის გამო აკეთებენ. ტელევიზიით ვუსმინე, ერთ-ერთმა „ნაციონალმა“ თქვა: რუსმა ტურისტებმა მიტინგი რომ ჩაატარონ, სად წავიდეთო?! სად გინახავთ, ტურისტებს მიტინგი ჩაეტარებინოთ. საქართველოს ეკონომიკური ზრდა რომ აქვს და ლარის კურსი დასტაბილურდა, სწორედ ქვეყანაში შემოსული ხალხის შედეგია. თბილისში გასაქირავებელ ბინას ვეღარ ნახავთ, ხალხმა სული მოითქვა, სახელმწიფოს ბიუჯეტში ფული შევიდა. უტვინო და ბოროტია, ვისაც ეს არ მოსწონს. ის, ვინც საზღვრის დაკეტვას ითხოვს, პირდაპირ, ღიად ქვეყნის მტერია. კაფეები, ბაზარი სავსეა ხალხით, ეკონომიკა გამოცოცხლდა. რუსების ნაწილმა საქართველოს თავი შემოაფარა. დამთავრდება ეს ტრაგიკული ომი და თავიანთ ქვეყანას დაუბრუნდებიან.

— პარლამენტი დეოლიგარქიზაციის კანონზე მუშაობს. ოპოზიცია დაჟინებით მოითხოვს, რომ ეს კანონი ივანიშვილს უნდა შეეხოს. ასეა?

— მიმაჩნია, რომ დეოლიგარქიზაცია ნაცების ოლიგარქებით და დამფინანსებლებით უნდა დაიწყოს. დიახ, მართებულად, ასე მიმაჩნია. რაც შეეხება ივანიშვილს, მან ქვეყნისთვის კრიტიკულ მომენტში, ძალიან ღირსეული, გაბედული და პასუხისმგებლიანი გადაწყვეტილება მიიღო. მას დასავლეთი დღემდე „აკაჩავებს“, რათა ივანიშვილმა მთავრობა აიძულოს, ქვეყანა ომში ჩაერთოს. ბატონმა ბიძინამ ეს ნაბიჯი არ გადადგა, რაც დასაფასებელია. დიახ, ეს მისი მხრიდან პატრიოტული ნაბიჯია. ივანიშვილმა არ გაგვყიდა! ომი ხომ თითოეულ ჩვენგანს შეეხებოდა. მას სწორედ პატრიოტიზმს და ქვეყნის ერთგულებას არ პატიობენ. ივანიშვილის მიმართ ხალხში პოზიტიური განწყობაა.

— ვთქვათ, ეს 12-პუნქტიანი დავალება შევასრულეთ, მიგვიღებენ ევროკავშირში?

— საერთოდ, კორუმპირებული ევროპარლამენტარების მხრიდან 12-პუნქტიანი დავალების გამოგონება უღირსი საქციელი იყო. ეს მიკერძოებული გადაწყვეტილება გახლდათ. საქართველო კორუმპირებულ მოლდოვასა და, საერთოდ, კორუფციის ჭაობში ჩაფლულ უკრაინის ხელისუფლებასთან შედარებით, ბევრად წინ დგას. ამიტო, 12 პუნქტის გამოგონება საჭირო არ იყო. მაგრამ ეს იყო პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომელიც იმიტომ იქნა მიღებული, რომ საქართველოს ომში ჩათრევა ვერ აიძულეს. მოკლედ, დაგვსაჯეს. ამით საზოგადოებაში ნეგატიური განწყობის შექმნა სურთ. 12-პუნქტიანი დავალება სამასხარაოა და მეტი არაფერი.

— რამდენიმე დღის წინ პარლამენტში სახალხო დამცველის ანგარიში მოისმინეს. რა შთაბეჭდილება დაგრჩათ?

— საერთოდ, მიმაჩნია, რომ ხშირ შემთხვევაში, უცხო ქვეყნიდან დაფინანსებული არასამთავრობო სექტორი ქვეყნის განვითარებას სერიოზულ საფრთხეს უქმნის. ისინი ასე ღიად ვერ უნდა მონაწილეობდნენ. ასე არ შეიძლება. ეს არ გახლავთ სანდო პროცესი. არასამთავრობო ორგანიზაციიდან წამოსული ლომჯარიას სახალხო დამცველად დანიშვნა, დიდ შეცდომად მიმაჩნია. ასეთ საკვანძო თანამდებობაზე, უცხო ქვეყნიდან დაფინანსებული პირი, რომელიც ამ დამფინანსებლის ზეგავლენის ქვეშაა და მასზეა ფინანსურად დამოკიდებული, თუნდაც, ძალიან ჭკვიანი იყოს, არ უნდა ინიშნებოდეს. ლომჯარიას ამ თანამდებობაზე დანიშვნა ანტისახელმწიფოებრივი ქმედებაა. როცა ქვეყნის გარედან ფინანსდები, გინდა თუ არა, დამფინანსებლისთვის ანგარიშის გაწევა გიწევს. როცა სახალხო დამცველს ვადა ამოეწურება, ისევ არასამთავრობოში ბრუნდება და ისევ იმ წყაროდან ფინანსდება. ამიტომ, ამ ოთხი წლის მანძილზეც იგი ორიენტირებულია გარედან წამოსული დავალებების შესრულებაზე, რათა მერე ისევ მისგან გააგრძელოს ხელფასის აღება. ყველა სახალხო დამცველი, რატომღაც, არასამთავრობო ორგანიზაციიდანაა. ნუთუ არ შეიძლება ამ თანამდებობაზე წესიერი ადამიანი მოვიდეს, ვისაც უცხოური ფული არ აუღია?!

თამარ შველიძე
555 23 28 24

ამერიკის ელჩის დამოკიდებულება პარტნიორულ ურთიერთობას სცდება

ჩვენ გვჭირდება მეგობრები, რომელთა ინტერესი საქართველოს დაცვა და არა მისი საზარბაზნე ხორცად გამოყენება იქნება!

წინა კვირას „ხალხის ძალა“ გაფართოვდა და დღეს პარლამენტში ცხრა წევრითაა წარმოდგენილი. გარდაიქმნება თუ არა იგი პოლიტიკურ ორგანიზაციად და რა გეგმები აქვთ დამფუძნებლებს, ამის შესახებ დიმიტრი ხუნდაძემ და სოზარ სუბარმა „იმედი ლაივისა“ და „პოსტ ტივის“ ეთერში ისაუბრეს. გთავაზობთ ამონარიდებს ინტერვიუებიდან:

დიმიტრი ხუნდაძე: „ქართული ოცნების“ დატოვება ადვილი არ იყო, ჩვენ ამ პარტიის დამფუძნებლები გახლავართ. რუსეთ-უკრაინას შორის განვითარებული მოვლენების შემდეგ, საქართველოს ომში ჩართულობის მაღალი რისკი გაჩნდა. აქედან გამომდინარე, „ქართული ოცნების“ დატოვების მიზეზი მარტივია — საქმე საზოგადოების უსაფრთხოებას ეხება. გადაწყვეტილება მივიღეთ, საზოგადოებას სიმართლე გაეგო, მისი ჩართულობა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. ჩვენ მიერ გამოქვეყნებული წერილები საზოგადოებისთვის სიმართლის თქმას ემსახურებოდა. ნომერ პირველი მიზანი საზოგადოების ჩართულობა, ინფორმაციის მიწოდებაა, რათა მან სწორი გადაწყვეტილებები მიიღოს. კონსტიტუციაში პირდაპირ წერია — ხელისუფლების წყარო არის ხალხი, რაც რეალურად განხორციელდა. მოსახლეობამ იგრძნო, რომ მასაც ეკითხებიან, საქმის კურსში აყენებენ. ჩვენ დამოუკიდებლობისთვის ვიბრძვით. რა თქმა უნდა, სტრატეგიული პარტნიორიც საჭიროა, მაგრამ არა საკუთარი სამშობლოს სუვერენიტეტის დაკარგვის ხარჯზე. ევროპული სტანდარტების წინააღმდეგი არ ვართ, მაგრამ პარტნიორულ ურთიერთობებს ვერ ვხედავთ. როცა მოსამართლეს საელჩოს თანამშრომელი იბარებს, ეს ნორმალურად ვერ ჩაითვლება. ვიმეორებ, გაჩნდა რეალური საფრთხე — ქვეყანა იმ კალაპოტში ჩამდგარიყო, რაც აუცილებლად აქტიურ საომარ მოქმედებამდე მიგვიყვანდა. დღეს მმართველი გუნდის მხრიდან ეს პროცესი აბსოლუტურად სწორად იმართება. ზეწოლა ისევ გაგრძელდება. თუ მმართველი გუნდი ამ ზეწოლას ვერ გაუძლებს, დაჩქარდება ჩვენი მოძრაობის პარტიულ ორგანიზაციად გარდაქმნის საჭიროება. საზოგადოებას არ სურს, ომის ბედს ვიღაც გარეთ წყვეტდეს. კელი დეგნანმა ჩვენ მიერ დასმულ შეკითხვებზე განაცხადა: არ წამიკითხავსო. ეს დამოკიდებულება პარტნიორულ ურთიერთობას სცდება. იცით, რა არის მისასალმებელი? — ჩვენს მიერ დაწყებული პროცესის შედეგად, საზოგადოებამ ღიად დაიწყო აზროვნება. ის უკვე მოვლენებს თავად აფასებს. დიახ, საზოგადოებაში აზროვნების ჯანსაღი პროცესი დაიწყო — იგი შესანიშნავად არჩევს: რა არის მისთვის საფრთხე და რა არის მიუღებელი. ჩვენ ჭეშმარიტი დასავლური ღირებულებები გვინდა და არა მოდიფიცირებული. პოლონეთის პრემიერ-მინისტრმა ღიად განაცხადა, რომ დასავლეთში დემოკრატიის დეფიციტი გაჩნდა. თუმცა, ამის გამო იგი რუსეთუმეობაში არავის დაუდანაშაულებია. აქვე კელი დეგნანის განცხადებასაც შევეხები პოლიტიკოსების მხრიდან შეთქმულების თეორიების გავრცელებასთან დაკავშირებით. მან „ხალხის ძალა“ პირდაპირ ტყუილის ლაპარაკსა და ქართულ-ამერიკული ურთიერთობების ძირის გამოთხრაში დაადანაშაულა.

ამერიკელებმა საქართველოს სუვერენიტეტის გასაძლიერებლად ბევრი რამ გავაკეთეთო. მინდა, მას ვკითხო: სუვერენიტეტის გაძლიერებაში შედის, როდესაც ელჩი მოსამართლეს იბარებს ან პარლამენტში რეკავს და ითხოვს: სანამ ჩემი თანხმობა არ გექნებათ, ამა და ამ კანონის მიღება გააჩერეთო. თუ ამერიკული ფულით დაფინანსებული „ენ-ჯე-ოების“ სცენაზე გამოყვანა და გადატრიალების მოწოდებაა სუვერენიტეტის გაძლიერება?! პარტნიორობა თანასწორუფლებიანობას, ურთიერთპატივისცემასა და ქვეყნის უსაფრთხოების გათვალისწინებას გულისხმობს. ჩვენი დასმული შეკითხვები რომ არ წაუკითხავს, ეს ჩემი კი არა, არამედ ქვეყნის შეურაცხყოფა, უპატივცემულობაა. სახალხო დამცველის განცხადებაზე — მირჩევნია, თბილისის თავზე ბომბები ცვიოდეს, ვიდრე სანქციებს არ შევუერთდეთო, ელჩს აზრი ვკითხეთ. მან პასუხი არ გაგვცა და ცოტა ხანში, მხარდაჭერის მიზნით, ლომჯარიას გვერდით აღმოჩნდა. კრამონმა სამარცხვინო რეზოლუციაზე თქვა: ამერიკელ პარტნიორებთან ერთად ვმუშაობდით მის მიღებაზეო. ელჩმა თურმე არც ეს იცის. არადა, გვიმტკიცებს, რომ ჩვენი მეგობარია. ასევე, კიზინგერმა განაცხადა: უკრაინაში მებრძოლი ქართველები საქართველოში ჩადით და ხელისუფლება გადააგდეთო. ესეც ჩვენი მეგობარია?! მაკკეინის ფონდის ხელმძღვანელმა კი მოგვიწოდა: სანქციებს შეუერთდითო. ამერიკელმა ჟურნალისტმა კიზინგერს ჰკითხა: ხომ შეიძლება ამ ქმედების გამო, რუსეთი ძალისმიერი გზით საქართველოში შეიჭრასო. პასუხი იყო: მერე რა, ის მაინც ვერ მოიგებსო. ესეც ჩვენი მეგობარია! მეგობრები ომისკენ გვიბიძგებენ! როცა ყველაზე მეტად დაგვჭირდა ნატოში და ევროკავშირში შესვლა, ღია კარი სწორედ მაშინ დაიხურა და შემდეგ 2008 წლის ომიც მივიღეთ. გლობალური გადმოსახედიდან, ამ დიდი ომის მოგებისთვის, შესაძლოა, საჭირო გახდეს საქართველოში დამატებითი საომარი ლოკაციის გაჩენა, რასაც ჩვენი ქვეყანა ვერ გაუძლებს. ჩვენ გვჭირდება მეგობრები, რომლებიც დაგვიცავენ და არა საზარბაზნე ხორცად გამოგვიყენებენ.

სოზარ სუბარი: საქართველოს ევროპული გზა სიმართლის დამალვაზე არ გადის. ყველაზე დიდი საფრთხის შემცველი თემა, რის გამოც გავერთიანდით — ომში ჩართვის მოწოდებები ჯერ დღის წესრიგიდან არ მოხსნილა. პირდაპირ ვამბობ: საქართველოსთვის ძირის გამოთხრა გახლავთ, როცა მავანი ჩვენი ქვეყნის ომში ჩათრევას ცდილობს. გარდა ამისა, როცა ლაპარაკია დეოლიგარქიზაციასთან დაკავშირებით, უკრაინის კანონზე, რომელმაც ევროკავშირის ექსპერტებისგან მსოფლიოში დიდი მოწონება დაიმსახურა, დეგნანმა კეთილი ინებოს და საზოგადოებას განუმარტოს: რა არ მოსწონს. ეს ქვეყნის სუვერენიტეტში უხეში ჩარევაა, რაც დაუშვებელია. წლების განმავლობაში ასე ხდებოდა — ამერიკის საელჩო ქვეყნის გადაწყვეტილებებში ერეოდა. სწორედ ამ ჩარევის შედეგად, დღეს არაერთი კრიმინალი პოლიტიკოსი, იმის ნაცვლად, რომ ციხეში იჯდეს, გარეთ დასეირნობს. ელჩების დაჟინებული მოთხოვნით ციხიდან გამოგვაშვებინეს გიგი უგულავა, ნიკა მელია და სხვა. კრიმინალების მიმართ გარედან რომ არ ყოფილიყო მხარდაჭერა, დღეს დამნაშავეები ციხეში იჯდებოდნენ და სასჯელს მოიხდიდნენ. ასევე, როცა პარლამენტში ოპოზიცია არ შემოდიოდა, ელჩებმა ყოველივეს გაჭიანურებული კრიზისი დაარქვეს და ხელისუფლებაზე ზეწოლა მოახდინეს.

ორი თვე ხელისუფლების რყევა მიდიოდა, რათა არჩევნების დელეგიტიმაცია მომხდარიყო. რაც შეეხება ამერიკის მხრიდან საქართველოს სუვერენიტეტის გაძლიერებას. არ ვიცი, ეს როგორ ხდება, რადგან გადაწყვეტილებების მიღებაში, რაც, წესით, ნებისმიერი ქვეყნის მთავრობამ თავად უნდა მიიღოს, ელჩი თავს უფლებას აძლევს, ჩაერიოს და კანონები მისი კარნახით მიგვაღებინოს. ეს არ გახლავთ სწორი პოზიცია. ქვეყნის სუვერენულ საკითხებში ჩარევა მიუღებელია. როცა ვაცხადებთ, რომ რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციის წევრი ვართ, ეს ნიშნავს, რომ ქვეყანა სუვერენიტეტს ნებაყოფლობით თმობს. ევროსაბჭოს წევრობით ჩვენ ვამბობთ, რომ საქართველო ადამიანის უფლებების კონვენციას არის მიერთებული. შესაბამისად, ჩვენ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების უზენაესობას ვაღიარებთ. ეს ქართული კანონმდებლობის გაჯანსაღებისთვის კარგია. ვიმეორებ, საქართველოს მოქალაქეებისთვის ეს სუვერენიტეტის ნებაყოფლობითი დათმობაა. როცა ევროკავშირში გაწევრიანებაზე ვსაუბრობთ, ეს, ბუნებრივია, სუვერენიტეტის კიდევ უფრო მეტად დათმობას ნიშნავს, რასაც ნებაყოფლობით ვაკეთებთ. სარგებელი, რასაც ევროკავშირისგან მივიღებთ, სუვერენიტეტზე გაცილებით მეტია. მუდმივად არის კამათი: რა და რა დონეზე უნდა დათმო სუვერენულ სახელმწიფოსა და ევროკავშირის ბიუროკრატიას შორის. ჩვენც ამ პროცესში გვინდა შესვლა, სადაც სუვერენიტეტის ნებაყოფლობით დათმობა, სასარგებლოა. ეს სწორი პროცესია, მაგრამ როცა ელჩი გეუბნება: ესა თუ ის კანონი ჩემს დაუკითხავად არ მიიღოო, ეს ქვეყნის საქმეში ზედმეტად ჩარევა და სუვერენიტეტის ხელყოფის მცდელობაა, რაც დაუშვებელია. ამას ხელისუფლება წინ უნდა აღუდგეს. ჩვენ ყოველთვის, ქვეყნის სუვერენიტეტის სადარაჯოზე ვიდგებით. რაც შეეხება სტრატეგიულ პარტნიორობას, ჩვენ თანასწორი ურთიერთობა გვინდა. წელან ევროკავშირის მაგალითი ვახსენე. როცა პოლონეთი, იტალია, უნგრეთი ევროკავშირის გარკვეულ პოლიტიკას არ იზიარებენ, ეს როდი ნიშნავს, რომ ისინი ამ სტრუქტურის წინააღმდეგნი არიან. ეს პარტნიორთან ურთიერთობის ფორმაა. არავინ ამბობს, რომ პოლონეთის პრემიერი ანტიდასავლელია, ხომ? არადა, მან პირდაპირ თქვა: ევროკავშირში ოლიგარქიაა, რაშიც საფრანგეთი და გერმანია იგულისხმა. თუ მას შეუძლია, თავისი უფლებები დაიცვას, ჩვენთვის რატომ ნიშნავს იგივე, პარტნიორებთან ურთიერთობის გაფუჭებას და ანტიდასავლელობას?! ბოლოს, ისევ ომის საფრთხეზე გავამახვილებ ყურადღებას. ხალხის სიფხიზლეა საჭირო, რათა ყოველივე თავიდან ავიცილოთ. საქართველოს ომში ჩართვის მცდელობები არ შეჩერებულა, რასაც რამდენიმე თვეში თვალნათლივ დავინახავთ, როცა 12-პუნქტიანი დავალების ჩაბარების დრო დადგება. დარწმუნებული ვარ, ეს დავალება უნაკლოდ შესრულდება, მაგრამ ჩვენ გვეტყვიან: იცით, რა, ყოველივე საკმარისი არ არისო და წითელს აგვინთებენ. არ გამოვრიცხავ, რომ გამოვიდეს ევროპარლამენტარების ჯგუფი, რომლებიც იტყვიან: საქართველო იმდენად ცუდად იქცევა, მის მოქალაქეებს ვიზა-ლიბერალიზაცია ხომ არ შევუჩეროთო. ანუ, ისეთ თემებს წამოსწევენ, რაც ქართველი საზოგადოებისთვის მტკივნეული იქნება და მმართველი ძალის მიმართ პროტესტს გამოიწვევს. შესაძლოა, ისეთი პროცესიც გამოიწვიონ, რის შედეგადაც ხელისუფლებაში მოიყვანენ იმ ძალას, რომელიც მათ მოთხოვნებს უსიტყვოდ დათანხმდება. ამიტომ, საზოგადოებას მუდმივად სიფხიზლე მართებს.

მოამზადა
თამარ შველიძემ

ქალბატონო დეიდა, როგორა ხარ ქვეიდან?

საქართველოს კონსტიტუციაში წერია, რომ ხელისუფლების წყარო არის ხალხი, რომელიც თავის ძალაუფლებას ახორციელებს რეფერენდუმის, უშუალო დემოკრატიის სხვა ფორმებისა და თავისი წარმომადგენლების მეშვეობით;

საქართველოს კონსტიტუცია განამტკიცებს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს. სახელმწიფო ხელისუფლება ცნობს და აღიარებს ამ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ღირებულებებს;

ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდულნი არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით;

საქართველოს კონსტიტუცია აცხადებს რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლებას, ამასთან ერთად, აღიარებს საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებლური ეკლესიის განსაკუთრებულ როლსა და მის დამოუკიდებლობას.

დიახ, ნამდვილად ასე წერია, მაგრამ ფაქტობრივად, ხალხს არავინ არაფერს ეკითხება, მხოლოდ არჩევნებზე სჭირდებათ ხმებად, ხოლო ეკლესია მავანთა მხრიდან მუდმივად თავდასასხმელი ობიექტია.

ყოვლად აუტანელი გახდა მრავალჯერადი გამოყენების ე.წ ოპოზიციური პარტიებისა თუ ცალკეულ პირთა ოპოზიციონერობანას თამაში, რასაც ხმაშეწყობილად ერთვის პოლიტიზირებული ე.წ არასამთავრობო სექტორის, რეალურად, უცხო ქვეყნის დესანტის დაუოკებელი მადა, რაც რეალურად ქვეყნის გამიზნულად მტრობაა მხოლოდ. ერთ დღეს სადღაც იკრიბებიან და რაღაც მავნებლურს გეგმავენ, ხვალ სხვაგან; ხან ერთი გამოენთება ქვეყნისთვის სახიფათო განცხადებით, ხვალ მეორე და ასე დაუსრულებლად, რასაც თან ერთვის „უცნაური მეგობრების“ მეგობრობა. მოკლედ რომ ვთქვათ, ყველა ერევა ქვეყნის საქმეებში გარდა იმ ძალისა, რასაც ხალხი ჰქვია და კონსტიტუციით აქვს განმტკიცებული უფლება, რომ გადაწყვიტოს მისი ქვეყნის მომავალი, მის ქვეყანაზე იზრუნოს და მისთვის დადოს ერთი სათავისო წილი აგური.

არაერთმა და ორმა მიზეზმა მოიტანა ის, რომ ყველა ასე თუ ისე ჩართულია საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, მაგრამ უიმედოდ, გულაცრუებული, ხელჩაქნეული, მხოლოდ საქმის ვითარების გამო ჩართული. ფაქტი სახეზეა, სწორედ არჩევნებზე მისული პროცენტებით ხალხს რწმენა დაეკარგა, რომ მათი არჩევანი რამენაირად ფასეულია. ის უდიდესი მუხტი რაც სრულიად საქართველოს ჰქონდა ათი წლის უკან სრულიად მინავლდა.

„უცნაური მეგობრების“ მიერ თავსმოხვეულმა კოჰაბიტაციამ აძგერა პირველი მძლავრი მახვილი ხალხს, აღუსრულებელმა და შერჩევითმა სამართალმა. როდესაც დეპუტატი გამოდის და ამბობს, რომ ყოველგვარი მტკიცებულებებით გამყარებულ დანაშაულზე კონკრეტული ქვეყნის ოფიციალური წარმომადგენელი ჩაერია კონკრეტული პირებისთვის სისხლის სამართლის საქმის აღძვრაში და სამართალმა ჩაილურის წყალი დალია, ძნელია, დაიჯერო ამ ქვეყნის მეგობრობისა და კეთილი სურვილებისა.

ხალხი დაიღალა გარედან დაკვეთილი, ხელოვნურად გაცოცხლებული და ახლიდან აღზევებული დამნაშავე ნაკრების, ე.წ პარტიის მფარველობის ყურებითა და პოლიტიკური ველის დანაგვიანებით. თითქოს სულ ასე უნდა იყოს, ორი დაპირისპირებული პოლიტიკური ძალა უნდა იყოს მუდმივად ერთმანეთის მაცოცხლებელი და, შესაბამისად, სხვა ძალის ადგილი აღარ უნდა არსებობდეს.

ნიკანორ მელიას სიტყვები გაგახსენდება ადამიანს, „ის არ ამბობს რომ არჩევნები არ გაყალბდა, ქალბატონი დეგნანი ამბობს და ხაზს უსვამს, რომ ქვეყანაში დაიკარგა რწმენა არჩევნების მიმართ“. კი, ნამდვილად ასეა! კარგად მახსოვს, როდესაც „ნაციონალური მოძრაობა“ ვებერთელა მასშტაბის აქციებს აანონსებდა და რეალურად ორი კაცი, უცვლელი სახეები დაკინკილობდნენ მთელი საქართველოდან შეკოწიწებულები, ხალხი ბრაზობდა, საიდან დაუწერეს იმხელა პროცენტები, სად არის ამათი ამომრჩეველიო. მართლაცდა, სად არიან და თუ არ არიან, საიდან მოვიდა ვითომდა მათ მიერ აღებული ხმების პროცენტები?

პირიქით, სიტუაცია ვთქვათ, „ოცნების“ ამომრჩეველიც რომ შეიფერთხა? დამოკიდებულება, ოღონდ ისინი („ნაცები“) არ მობრუნდნენ, იმიტომ ვაძლევ ხმას „ოცნებას“, მნიშვნელოვნად შემცირდა...

ხალხი ყველაფერს ხედავს, ყველაფერი იცის და მოსწყინდა თვალთმაქცობის თანამონაწილეობა, შესაბამისად, აიტაცა „ნაციონალებისვე“ შერქმეული სიტყვა „უნიათოები“ და „ოცნება“ გადაიქცა უნიათოების გაერთიანებად.

იქნებ, უნიათოც არ ხარ, მაგრამ, თუ კონკრეტული საქმის მოსამართლეს რომელიმე ქვეყნის საელჩოს თანამშრომელი უდგას გამომძიებლად, ისვე აკონტროლებს ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღებას და ვეღარაფერს ახერხებს სახელისუფლებო ძალა. ფაქტობრივად, საელჩოები ანგარიშის წარდგენას მოითხოვენ.

საქართველო პატარა ქვეყანაა, შესაბამისად, ყველამ ყველაფერი იცის ყველას შესახებ და რეალური განწყობები არ იმალება.

საქართველოს დღევანდელი მოცემულობა ასეთია, ღრმა უფსკრულის თავზე **დანის პირზე უწევს სიარული და ახლა უნდა გამოჩნდეს ხალხის ძალა, რომელიც შეძლებს, გადაარჩინოს თავისი ნაფოფინები, მაგრამ გაწამებული საშოგლო.**

ქვეყანა, რომლის 20% ოკუპირებული აქვს მეზობელ ქვეყანას და კიდევ მისხლობით აგლეჯენ სხეულს სხვა მეზობლებიც, ხოლო სულს გაურკვეველი ღირებულებებით უბინძურებენ, გულხელდაკრეფილი ვერ იქნება.

ვინ დაგვწყევლა ასე უსასრულოდ, რომ წლებია, მარადიული მათხოვრის პოზიციაზე ვართ და ვისაც არ ენაღვლება, ყველა თითზე გვიხვევს, რაღაცას გვპირდება, მაგრამ მუდმივად გვატყუებს, საქართველოსგან სასურველს იღებს, სანაცვლოდ კი არაფერს გვაძლევს გარდა ახალი თავსატეხისა. პოლიტიკური წელკავიღა გაგვიჩნდა ჯერ მხოლოდ „ნატოს“ ღია კარში დგომისგან, ახლა კი ევროკავშირის ცხვირწინ მოჯახუნებული კარიც დაემატა. ვერც ვერავინ ბედავს იკითხოს, რატომ გვასრულებინებენ სხვადასხვა „მისიებს“, რატომ, რის სანაცვლოდ გვახვევენ თავზე საქართველოსთვის მიუღებელ ღირებულებებს; რატომ უნდა შეიცვალოს ხელისუფლება, რა დავალებას არ უსრულებს ის „უცნაურ მეგობრებს“? ზოგადად კი, რა შედეგი მოიტანა ამ, სიტყვიერად, მეგობრობამ, რა დაგვრჩა ხელში 30 წლის მანძილზე, ტერიტორიებდაკარგული საქართველო, სისხლდანთხეული და ღირსებაყრილი?

არაერთი ადამიანისგან გაგვიგონია კერძო საუბარში, ოღონდ ნუ მომატყუებს ვინმე და მზად ვარ, მწარე სიმართლე მოვისმინოო. ფართო მასშტაბშიც ასეა, ხალხსაც ასე ურჩევნია, არ მოსწონს მოტყუებულად და გამოყენებულად ყოფნა, მით უმეტეს, რომ ძალიან კარგად ხვდება და იცის, რა ხდება ან შეიძლება ხდებოდეს სახელისუფლებო კულუარებში. თუ თავზე ხელი არ აიღე, გასაგები მიზეზების გამო, ცხადია, ყველაფერს ვერავის და ვერც მის უდიდებულესობა ხალხს ვერ მიახლი უხეშად, მაგრამ, როდესაც სიმართლის წყურვილი კულმინაციას მიაღწევს, უნდა გადმოეშვას კიდეც მისაღები დოზით.

ამ ზაფხულს, როდესაც გაცხადდა, რომ სიმართლის თქმის მოტივით რამდენიმე დეპუტატმა „ქართული ოცნება“ დატოვა, თუმცა საპარლამენტო უმრავლესობის დეპუტატებად რჩებოდნენ, სერიოზული გაურკვევლობა წარმოიქმნა, როგორც პოლიტიკურ წრეებში, ასევე ხალხშიც, სად წავიდნენ, რა წამოიწყეს, ვინ უშლიდათ ლაპარაკსო. როდესაც დეპუტატებმა თავად განმარტეს საქმის ვითარება და წამოაყენეს მთელი რიგი შეკითხვები კონკრეტული პერსონის მისამართით წერილობითი ფორმით, გაურკვევლობა გაიფანტა, თუმცა არ დააყოვნა „უცნაური მეგობრის“ ოფიციალურმა წარმომადგენელმა და დეპუტატების განცხადება რუსულ დეზინფორმაციად მონათლა. საკვირველია, თუ ჩემი ქვეყნის სასიკეთოდ გადადგმული ნაბიჯი თუ **სიტყვა სხვა (მტერი) ქვეყნის დეზინფორმაციაა, ჩემს ქვეყანას და ხალხს რატომ არგია, ან რატომ მოეფონა გულზე, როდესაც თავისივე ნაფიქრი ოფიციალურად გაიგონა?**

დასაწყისში კონსტიტუციასთან დაკავშირებით ეკლესია ვახსენეთ. რა ხდება, რატომ განაცხადეს დეპუტატებმა, რომ ამერიკული დაფინანსების მნიშვნელოვანი ნაწილი სახელმწიფოსა და ეკლესიის წინააღმდეგ მიმართულ კამპანიებს მოხმარდა, ხოლო ამ კამპანიებს ვინც აწარმოებს, კარგად ვიცით?

ქალბატონმა ელჩმა რომ აშშ-ის მიერ ვითომ ქვეყანა საქართველოსთვის გაღებული რაღაც 6 მლრდ დაგვაყვედრა 30 წლის განმავლობაში, რატომ არავინ შეუბრუნა კითხვად: ქალბატონო ელჩო, ხომ არ გაიკითხავდით და წარმოგვიდგენდით ანგარიშს, რას მოხმარდა ეგ თქვენი ხსენებული მილიარდები. წარმოგვიდგინეთ ანგარიში, ძალიან გვაინტერესებს, სად და რაში დაილექაო.

ანდა, რომ დაგვაყვედრა, ათასობით ქართველი ჯარისკაცი მოამზადა შეერთებულმა შტატებმა რომ უკეთ შეძლონ საქართველოს საზღვრების დაცვაო, დაგვცინის და არავინ უნდა ჩაეძიოს?

აშშ-ს რა სარგებელი მოუტანა საქართველოსთან მჭიდრო პარტნიორობამ, შეგვიძლია კიდევ რაღაც წავიბლუკუნოთ, მაგრამ პირიქით, რა სარგებელი ვნახეთ, ძალიან აინტერესებს ხალხს...

დიახ, ასეა, როდესაც რომელიმე ელჩი თავს უფლებას აძლევს, რომ თითი დაგიქნიოს და დაგტუქსოს, რომელიღაც კანონი არ უნდა მიგეღოო (შედარებისთვის, მის ქვეყანას ბევრად უარესი აქვს დემოკრატიის თვალსაზრისით), სახეზეა შენი ქვეყნის კონსტიტუციის, სუვერენიტეტის, ტრადიციისა და კიდევ არა ერთი ფასეულობის უპატივცემულობა.

კიდევ ზემოდან რომ დამცველიც გამოუჩნდება აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილის სახით იარაღის კონტროლისა და საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებში, ვაშინგტონი ძლიერად უჭერს მხარსო...

უცნაური ამბავია! გაგონილა, რომ ე. წ მეგობრები გიკიჟინებდნენ, კი, ვიცი, მოგერევა გავეშებული დათვი, მაგრამ მე მინდა, რომ დაგტოროს ან სულაც გადაგყლაპოსო და საკუთარ სახლში რომ არ გიფარებს, ერთია, მეორეა, რომ ბრაზდება, რას ჰქვია, არ გინდა ეს ძალმომრეობა, მე ასე მინდაო. ეს რა მეგობრობაა?

ხალხს აღარ სურს აღარც ტყუილების მოსმენა, აღარც გაცვეთილი ე.წ პოლიტიკური სახეების დანახვა, სულ სხვაა ე.წ „გადაუწყვეტელთა“ არჩევანი, საქართველოს მოსახლეობის იმ დიდი ნაწილისა, რომელსაც სულაც აღარ აინტერესებს, ვის დანიშნავენ „უცნაური მეგობრები“ ან მთავრობად, ან ე.წ მავნებელ ოპოზიციად. ხალხს მხოლოდ ორი რამ უნდა - მშვიდობა და ჯანსაღი ცხოვრება, მხოლოდ ისეთი, რაც ორგანულად მისია, ქართულია, კავკასიურია და მეობაში აქვს გამჯდარი.

ხალხი ითხოვს სიმართლეს და სამართლიანობას, მაგრამ სანაცვლოდ მხოლოდ იგნორირებას, ორაზროვან პასუხებს, გაცვეთილ არაფრისმომცემ ფრაზებს ან სულაც შეურაცხმყოფელ დუმილს იღებს. როგორი პარტნიორობა და მეგობრობაა, როდესაც ერთი მხარე რატომღაც თავს აღმატებულად თვლის და მბრძანებლად გიზის, მისი ნება განსაზღვრავს, რა სჭირდება და უნდა ქვეყანასა და ხალხს.

ხალხში „ვერთქმისა“ და „ართქმის“ წინააღმდეგ პროტესტის გრძნობა დაგროვდა. მოსწყინდა ხალხს ფსევდოევროპულობისკენ სწრაფვა, ფსევდოდასავლურობა, ფსევდოდემოკრატიულობა!

მუდმივად რყევა, რომ რამენაირად დაბრუნდეს ხელისუფლებაში კრიმინალური ხელისუფლება, სამართლიანად აძლევს ამ ელექტორატს იმის ეჭვის ქონის უფლებას, რომ სწორედ „30-წლიანი უცნაური მეგობრები“ არიან ყველა იმ მავნებლობის შემოქმედები, რასაც ამჯერად „პოლარიზაცია“ დაერქვა და ყოველ ჯერზე ახლიდან შთაბერავს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან სულს ბაკურიანსა თუ სხვაგან შემკრებ ე.წ ქართველ პოლიტიკოსებს; უკრაინიდან თითის დამქნევებს, მავნებელ „ენჯეოშნიკებს“, თავზეხელაღებულ ტერორისტ ჟურნალისტებს თუ სხვა ომისმოსურნე სუბიექტებს.

ეჰ, ქალბატონო დეიდა, როგორა ხარ ქვეიდან? იტყოდა ამ შემთხვევაში ცხონებული გია ფერაძე.

მაკა ჯაყელი

მელიას მარჯვე მარჯვენა

წინა ხელისუფლების კუდ-ის მაღალჩინოსანმა სოსო თოფურიძემ სოციალურ ქსელში საქვეყნოდ გამოაცხადა, რომ ნიკა მელია პარტიის თანხებით გვარიანად ითბობს ხელს და მრისხანება აფრქვია, თუმცა „ნაცლოზუნგი“ „ყველანი ციხეში!“ ისე აქვს გამჯდარი, შორიდანაც ჩახვეული გაიძახოდა.

იოსებ თოფურიძე (შემოკლებული):

პატივცემულო საზოგადოება, ეს წუთია, მომაწოდეს ინფორმაცია, რამაც ძალიან გამაღიზიანა!

რა უჯდება ნაციონალურ მოძრაობას თავმჯდომარის, ნიკა მელიას შენახვა – წელიწადში 1 471 000 ლარი!

ოპოზიცია, თქვენ ნამუსი გაგაჩნიათ?!

საქართველოს პრეზიდენტი, ქვეყნის აღმშენებელი მიხეილ სააკაშვილი პოლიტპატიმარია; ოპოზიციის ტელევიზიის ხელმძღვანელი ნიკა გვარამია საპყრობილეში, პოლიტპატიმარია და თქვენ, ზოგ-ზოგიერთებმა, ფუფუნება მოუწყვეთ საკუთარ თავს?!

ხალხი შიმშილობს და თქვენ მდიდრდებით?!

თქვენ ხართ ოპოზიცია?!

თქვენ, ოქრო ვერცხლს დამონებულო ოპოზიციის ზოგიერთო წარმომადგენლებო,

რატომ ვართ დევნილობაში?!

თქვენ ჩვენზე გადატეხეთ ჯოხი და ცხოვრება მოიწყვეთ!

ხელუსუფლებაზე რაღა უნდა ვთქვა, ოპოზიციამ ხალხის ხარჯზე მოიწყო ცხოვრება!

რა თქმა უნდა, ყველა ოპოზიციონერს ეს რისხვა არ ეხება,

მაგრამ, სად იყავით ოპოზიციის წევრები, ნიკა მელია ასეთ მაღალ ანაზღაურებას რომ ინიშანავდა ?!

თქვენი, თქვენი შემოსავალიც დასათვლელია!

ამ საქმის მიჩუმათება არ შეიძლება, ვის აყრით ნაცარს თვალებში, ხალხს, ვინც მანდატი მოგცათ პარლამენტში შესასვლელად, იმ ხალხს ძარცვავთ?!

გამოსავალი იპოვეთ, არა?

ნიკა მელიას გაათავისუფლებთ დაკავებული თანამდებობიდან?

ტაში, ყოჩაღ!!!

წინასწარ, გადამოწმების გარეშე, მე დასკვნის გაკეთება არ შემიძლია,

მაგრამ

თუ დადასტურდა სისხლის სამართლის დანაშაული, ხალხის ნდობის ბოროტად გამოყენება,

ხალხის, ბიუჯეტის ფულის უკანონოდ მითვისება,

მაშინ ყველა დამნაშავე:

ყველანი ციხეში!

ყველანი ციხეში!

ყველანი ციხეში!

პოლიტდევნილი იოსებ თოფურიძე

05.10.2022 წელი

არ დააყოვნა მელიას პასუხმაც, რომ ეს არის მის მიმართ წამოწყებული ბინძური კამპანია და ყველაფერზე ილაპარაკებს მაშინ, როცა ქვეყანას აღარ ექნება პოლიტპატიმრების, მიხეილ სააკაშვილისა და ნიკა გვარამიას პრობლემა.

მელიას ჯერ თავისი კუდი არ მოუყვანია მოწმედ, მხოლოდ ერთ ხმაში მღერის, რომ პარტიიდან არანაირ დაფინანსებას არ იღებს და ისიც კარგად იცის, ვინ იწყებს დროდადრო ამ კამპანიებს.

„კრიტიკის“ ნაცვლად „კრიტიკის“, ცილისწამებისა და ლანძღვის მოსმენა, როგორც წესი, აღარც კი არა, ვეღარც მიკვირს, მაგრამ ზოგი მეტისმეტად „ნიჭიერი“ გამოდგება ხოლმე და მაინც ახერხებს ჩემს გაკვირვებას.

ერთ-ერთი ასეთი „ნიჭიერის“ წყალობით, ფეისბუქზე ტრიალებს კოლოსალური თანხები, რაც თურმე პარტიას ეხარჯება ჩემს შესანახად.

ეს „ნიჭიერი“კაცი კი იმდენად „ნიჭიერი“ გახლავთ, რომ საზოგადოებას თავისი „საქმენი საგმირონით“ ჯერ კიდევ მაშინ გააცნო თავი, სანამ მე პოლიტიკაში ჩავერთვებოდი.

● არანაირი ათიათასლარიანი ხელფასი მე არ მაქვს! საერთოდ, არანაირ ხელფასს არ ვიღებ პარტიაში!

● არანაირ 4 ტონა ბენზინს არ ყიდულობს პარტია და არათუ 12 ათასი ლარი, 12 თეთრიც არ უჯდება ჩემი გადაადგილება.

● ყოველთვიურად თურმე 41 ათასი ლარი იხარჯება ჩემს უცხოურ ვოიაჟებზე. არასოდეს პარტიის დაფინანსებით არ ვყოფილვარ საზღვარგარეთ!

● ისე შთამბეჭდავად ახსენებენ დაცვას და მის შესანახად გამოყოფილ 18 ათასს, გეგონება, მთელი გუნდი მიცავდეს და არა დაცვის ერთი თანამშრომელი, რომლის შენახვა ზუსტად ცხრაჯერ იაფი ჯდება.

● და საერთოდ, სანამ შეკვეთილ პოსტებზე დათანხმდებით, რომელსაც ქოცმედია ისტერიულად დაატრიალებს, კამპანიურ ხასიათს შესძენს და კმაყოფილი დამკვეთი გროშებს გამოიმეტებს, უნდა იცოდეთ, რომ იმ გროშებთან ერთად, საკადრის პასუხსაც მიიღებთ.

მჯერა, ხალხი ისედაც მიხვდება რაც ხდება და რატომაც ხდება, მაგრამ თავის დროზე სრულ სიმართლეს პირადად ჩემგან გაიგებს, თუ ვინ და რატომ არის ამ ბინძურ კამპანიაში ჩართული და რა კონკრეტული მიზნები და ამოცანები ამოძრავებს.

თვეებია, თავს ვიკავებ საჯაროდ საუბრისგან და ის, რაც ვთქვი ამ ცოტა ხნის წინ, ზღვაში წვეთია და მეტი საუბრისგან მანამ შევიკავებ თავს, სანამ ტყვეობაში არიან სააკაშვილი და გვარამია. განსაკუთრებით, სანამ მიშას ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება. თუმცა, საზოგადოებას ვპირდები, რომ თავის დროზე აუცილებლად ყველაფერზე ვისაუბრებ, ვისაუბრებ მარტივი მიზეზის გამო:

1) სრული სიმართლე იცოდეს ყველამ, რეალურად ვინ რისთვის იბრძვის.

2) მხოლოდ სიმართლით შეიძლება დაამარცხო ივანიშვილის ბოროტება და არა იმ ნაცადი მეთოდებით, რისი წყალობითაც ივანიშვილი ჯერ ხელისუფლებაში მოვიდა და შემდეგ, აგერ აქამდე ახერხებს ძალაუფლების შენარჩუნებას.

ვერ მიაღწევენ დასახულ მიზანს, ვერ შესწვდებიან ძეხვს და მათთვის მუდამ პარასკევი იქნება.

ვიღაცას ფარნაოზ ჭკადუა გაახსენდა, მაგანაც მასე აურია და ახლა, ვითომ სასწავლებლად, ედინბურგში გაიქცაო...

ფაქტია, „სანაცეთში“ რაღაც ძალიან აყროლდა და თან საკმაო ხანია, თუმცა ბატონ თოფურიძეს ახლა დაავალეს აყვირება და ისიც აყვირდა.

პარალელურად, გავრცელდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიმართვა მხარდამჭერებისადმი (მოკლედ):

„ბოლო რამდენიმე დღეა, საზოგადოება თვალ-ყურს ადევნებს სიცრუეზე აგებულ კამპანიას, რომლის მიზანს, ერთი მხრივ, წარმოადგენს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და პარტიის ცალკეული ლიდერების დისკრედიტაცია, მეორე მხრივ კი ჩვენი თანამოქალაქეების, პარტიის ერთგული მხარდამჭერების შეცდომაში შეყვანას, ხელოვნურად დაპირისპირების გაჩენასა და მთავარი მიზნიდან გადახვევას.

გვსურს, ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ფინანსებთან დაკავშირებული საკითხები არის ღია და გამჭვირვალე, შესაბამისად, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია, გაეცნოს.“

ძალიან საინტერესო ამბავია! ძნელი დასაჯერებელია, რომ პატივცემულ თოფურიძეს ან ვინმე სხვას, ერთ აბებედით ღამეს სიზმარში მოეჩვენა რაღაც და „სიცრუის კამპანია“ წამოიწყო. დავიჯეროთ, რომ ამიტომ აყვირდა თუ ააყვირეს ბატონი თოფურიძე?

ზოგადად კი, ნიკანორ მელია რომ დიდი შარისმოყვარე მოხულიგნო ვინმეა, რომელიც პოლიტიკურ ველზე, ცოტა არ იყოს, ახვრულად შესამჩნევი გახდა. საზოგადოებას კი უნდა ახსოვდეს, რომ ნიკანორ მელიამ ხულიგნურ-პოლიტიკური ნათლობა „ნაცებისთვის“ საძულველ უბანში, ვაკეში, რესტორან „ლა ტრუფეში“ მიიღო. სასაცილო ამბავი გამოდიოდა, ჩემმა მზემ! თითქოს ამხელა ამბალი კაფანდარა ქალმა მიჯნიყა... ისე უხდება მარჯვე მარჯვენიან მელიას ხულიგნურ-გოთვერნული იმიჯი, რომ დიდხანს ტრიალებდა ფოტოშოპით სხვის ტანზე მიბმული მისი სახე, თითქოს ის ურტყამდა ვეებერთელა კეტს ავთანდილ ჯორბენაძეს მიტინგის დარბევის დროს რუსთაველზე. ბოლოს, არცთუ დიდი ხნის უკან, კეზერაშვილსაც წაჰკბინა, წინა ხელისუფლებისდროინდელი თავდაცვის მინისტრი დავით კეზერაშვილი „არ არის გულწრფელი“ ივანიშვილთან ბრძოლაში და რაც უფრო შორს იქნება პოლიტიკური სპექტრისგან, მით უკეთესი იქნებაო. ყმაწვილო, ვინც გაჭმევს, მას რომ თითზე უკბენ, გაჯავრდება... კბენაზე გამახსენდა! ყველანაირ მედიაში ვრცელდებოდა კადრები, როგორ ჩაჰკრა ნახტომში მადლიანი შალაბანი შიგ კინკრიხოს ათიანში ტიპმა. გაიქაჩა სიმბოლურად მელია, მაგრამ საკუთარივე კუდი გაებლანდა ფეხებში. ისე, ამხელა ამბალს რანაირად იბრიყვებენ?

აკი ვთქვი, შარისმოყვარეამეთქი!

მედიაში ელვისებურად გავრცელდა ინფორმაცია, რომ „ნაციონალურ მოძრაობაში“ ფიზიკური დაპირისპირებისას ნიკა მელიას ხელი მოსტყდა. „ნაცმოძრაობის“ პრესსამსახურმა სიცრუე უწოდა გავრცელებულ ინფორმაციას, არაფერი დაპირისპირება, ფეხბურთის თამაშის დროს მოიტეხა თითიო, ხოლო მელიამ, სპორტული აქტივობის დროს დამიზიანდაო.

განა არ შეიძლება, ასეც იყოს, მაგრამ სახელი რომ აქვს გატეხილი პარტიას ან ადამიანს (ან ორივეს), ვისთვის უკეთესს, ვისთვის უარესს იჯერებს მესამე პირი.

ისე, თითის მოტეხვა რა სპორტია?

სულ სხვა ამბავია ყბის, თავის, კისრის მოტეხვა, თითი რა არის, რა უნდა დაშავებოდა, განა ასეთისთვის რისთვის უნდა ეტაკებინა...

ამ ბოლო ხანებში პარტიისა და პირადად ჩემს მიმართ აგორებულმა ცილისმწამებლურმა კამპანიამ და დეზინფორმაციის კორიანტელმა დიდ მასშტაბს მიაღწია, რაც, ცალსახად, მხოლოდ რუსული ოცნებისა და იმ ადამიანების ინტერესშია, ვისთვისაც საკუთარი გავლენების გაძლიერება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე „ოცნების“ დამარცხება და ქვეყნის გამარჯვებაო, იხტიბარს მაინც არ იტეხს მელია.

ვეჟო, პარტიის ფულის მითვისებას შენივე ხალხი გედავება, რა თითი, რა რუსული ოცნება, რა ატმიკურკისოდენა და გარგლიკურკისოდენა?

გარდა ამისა, ძეხვს ვინ არის მიცუცქული პარასკეობით, რა ჰქვია კრებსით კატას, მელიას გარკვეული ჰქონია, მაგრამ, ეგებ, იმ კატას მელიებთან მებრძოლი ლომი ჰყავს გაზრდილი?

მოკლედ, ჯერ მელიას მადა და ახლა მისი მარჯვე მარჯვენა გაახდა საამბო, ვითარცა დიდოსტატისა...

მამუკა ოუხერელი

„ნაცების“ დატოვებული მორიგი ხაფანგი

გვესაუბრება საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი, ჟურნალისტი
ლევან ჭილლაძე
557 74-98-87

ნანული მიქელაძე აფხაზეთიდან დევნილია, იგი ოჯახთან ერთად სასტუმრო „აჭარაში“ ცხოვრობდა და არ იცოდა, რომ დიდ ომს გამოქცეულს, წინ საკუთარი უფლებების დასაცავად უფრო დიდი ბრძოლის გადატანა ელოდა. საზოგადოებას კარგად ახსოვს ყოფილ სასტუმრო „აჭარაში“ მცხოვრები დევნილების ბედი და მათი გამოსახლების თავზარდამცემი სატელევიზიო სიუჟეტები.

დღემდე საზოგადოება ფიქრობს, რომ იმ ავადსახსენებელ შენობაში მცხოვრები დევნილების ბედი სახელმწიფომ მაშინ სრულად გადაწყვიტა და რომ დღეს პრობლემა ამოწურულია, მაგრამ ათეული წლის წლის წინ დაწყებული საქმე ახლა კვლავ სასამართლო განსჯის საგანია. რატომ? ეს კარგად ჩანს მარტოხელა ქალბატონის, ნანული მიქელაძის მაგალითიდან.

ქალაქის მერი და ბათილი ხელშეკრულებების ბედი

ნანული მიქელაძე ოჯახთან, ძმასთან და ძმისშვილებთან ერთად სასტუმრო „აჭარაში“ სტანდარტული ტიპის ბინაში ხუთსულიან ოჯახში ცხოვრობდა, მაგრამ ყველამ კარგად იცოდა, რომ, როგორც დაუოჯახებელს, რომელმაც მთელი თავისი ახალგაზრდობა პროფესიას შეალია და აფხაზეთშიც იბრძოდა, დამოუკიდებელი ოჯახის სტატუსი ჰქონდა. მაშინდელი ლტოლვილთა სამინისტროც სწორედ ამგვარად აფიქსირებდა მას, როგორც დამოუკიდებელი სუბიექტს და კომპენსაციის მიმღებს, მაგრამ მერე, ერთ წუთში, დევნილთა სამინისტრომ მაშინდელი ქალაქის მერთან, გიგი უგულავასთან შეთანხმებით, ყველაფერი თავდაყირა დააყენა. სასტუმრო „აჭარაში“ მცხოვრებ მოქალქეებთან გააფორმა ისეთი ტიპის ხელშეკრულებები, რომლებიც დღემდე გაურკვეველი შინაარსის მატარებელია. კერძოდ,

რა ირკვევა საქმის მასალებიდან

საქმის მასალებიდან მკაფიოდ ჩანს, რომ 2004 წელს ნანული მიქელაძის ძმისშვილმა, ია მიქელაძემ, როგორც მესაკუთრემ, ხელშეკრულება დადო მაშინდელი სასტუმრო „აჭარის“ ხელმძღვანელობასთან, რომელსაც 7 000 აშშ დოლარის გადახდის სანაცვლოდ უნდა დაეტოვებინა სასტუმროში დაკავებული ფართი და, ამავე ხელშეკრულების თანახმად, მას აღარ ექნებოდა უფლება, თავშესაფარი მოეთხოვა დევნილთა სამინისტროსგან.

იმ დროს ქყეყანაში არსებული მძიმე ქაოსური მდგომარეობის გამო, არც ლტოლვილთა სამინისტრო იყო გამონაკლისი, როდესაც ქაოტურად ხდებოდა პირთა რეგისტრაცია და ე.წ. ანკეტების გახსნა, რაც, კანონის თანახმად, ნიშნავდა იმას, რომ, ვის სახელზეც გაიცემოდა სააღრიცხვო დოკემენტი-ანკეტა, ის პირი იყო მასთან მცხოვრები პირების წინაშე ყველაფერზე პასუხისმგებელი და სწორედ ამ მოჯადოებული და წინასწარგათვლილი კანონის საფუძველზე, ია მიქელაძეს ისეთ ხელშეკრულებაზე მოაწერინეს ხელი, თითქოს ის თანახმა იყო, შვიდი ათასი აშშ დოლარი კომპენსაციის სანაცვლოდ ა დააკმაყოფილებდა მასთან მცხოვრებ ოთხსულიან ოჯახს, მაშინ, როდესაც საჩივრების ფონზე, სამინისტრომ იცოდა, რომ ნანული მიქელააძე არ შედიოდა ია მიქელაძის ანკეტაში, იგი მხოლოდ მარტოხელა ადამიანის სტატუსით სარგებლობდა. ნიშანდობლივია, რომ ნანული მიქელაძემ ამ ხელშეკრულების შესახებ არაფერი იცოდა და არც ის, თუ ვის შეეძლო მისი ბედის განკარგვა მისგან დამოუკიდებლად.

ნანული მიქელძე: „მე ვცხოვრობდი სასტუმრო „აჭარაში“ და, მოგეხსენებათ, დიდი გამოსახლების დროს მაშინდელი მერის, გიგი უგულავას დავალებით ხშირად მოდიოდა ჩვენთან, საინიციატივო ჯგუფი, რომელმაც შემოგვთავაზა, თქვენ სასტუმროდან გაგიყვანთ და ფულადი კომპენსაციით დაგაკმაყოფილებთო. ვინაიდან სახელმწიფოს მხრიდან ასე გადაწყდა, ვიფიქრე, რომ მე, როგორც დევნილს და მარტოხელას, ფულადი კომმპენსაციით დამეხმარებოდნენ , მაგრამ აღმოჩნდა სხვა რამ: ხელშეკრულება გაუფორმეს ჩემს ძმისშვილს, ია მიქელაძეს, რომელიც თურმე ოჯახის უფროსად მონათლეს, მე კი, როგორც ცალკე მაცხოვრებელი, არაფერში გამითვალისწინეს და არც ფულადი დახმარება მომცეს. სწორედ ამის შემდეგ დაიწყო ჩემი ხანგრძლივი ტანჯვა, ... [illegible] ... ავად ბევრი ახალი მტკიცებულებისა, არც კი განიხილა.

„მე ლტოლვილთა და, ახლა უკვე ეკომიგრანტთა სამინისტროს იურისტის დახმარებით, ხელახლა მივმართე და ვთხოვე, ხელახლა განეხილათ ჩემის საკითხი, ამოვერიცხე კომპენსირებულთა სიიდან და დაეკმაყოფილებინათ ბინით, მაგრამ საჩივრის შეტანიდან ათი დღის ვადაში უკან მისი განუხილველად დატოვების წერილი მივიღე, სამინისტროს წერილი იურისტის დახმარებით სასამართლოში გავასაჩივრე, მაგრამ იქ რაც მოხდა, ჩემთვის წარმოუდგენელი სანახაობა იყო, მოულოდნელად მწარე სინამდვილის პირისპირ აღმოვჩნდი, მოსამართლე ვალერიან ფილიშვილმა ჯერ ადამიანურად მოგვისმინა მე და ჩემს დამცველს, იქვე სასამართლო პროცესზე დაიწყო ჩვენი საქმის მთლიანი შესწავლა, რასაც გაკვირვებული ვადევნებდი თვალს, არაფერი მითქვამს, მაგრამ ბოლოს ერთმა შემთხვევამ პროცესზე სრულად დამაბნია. მოსამართლეს ისეთი განწყობა ჰქონდა, მეგონა, ბოლომდე იზიარებდა ჩვენს არგუმენტებს. ეჭვი მე მაშინ არ შემპარვია, მაგრამ კარგად დავიმახსოვრე ერთი მომენტი,რომელმაც გავლენა იქონია შემდეგ ჩემს საქმეზე. როდესაც მოსამართლე ვალერიან ფილიშვილს მუდარის თხოვნით მიმართა დევნილთ სამინისტროს ახალბედა წარმომადგენელმა: ბატონო მოსამართლევ, გთხოვთ, არ დააკმაყოფილოთ ეს სარჩელი, თორემ მაშინდელი (იგულისხმება გიგი უგულავასდროინდელი) ხელშეკრულებები იმდენად გაუმართავია,არასწორია, რომ თუ ეს საქმე დაკმაყოფილდება, დევნილთა სამინიტროს ათასობით ასეთი მომჩივანი გაუჩნდება და ყველა დამატებით კომპენსაციას მოითხოვსო“.

მე მაშინ ეს ფრაზა, როგორც სახელმწიფოს პოზიცია, ცუდად მენიშნა, მაგრამ მოსამართლის ობიექტურობაში იმდენად დარწმუნებული ვიყავი, გონებაში გამტყუნება არც კი დამიშვია. ,მჯერდა გამარჯვების, თუმცა ახლა ვხვდები, რომ მოსამართლე ვალერიან ფილიშვილმა სახელმწიფოს ცდუნებას, უბრალოდ, ვერ გაუძლო და ჩვენი სარჩელი არ დააკმაყოფილა. თუმცა ამ საქმეს ბოლომდე მივიყვან.“

და ბოლოს...

სამწუხაროა, რომ სამართლებრივ სახელმწიფოში სწორედ ამ, იურიდიულად გაუმართლებელი ხელშეკრულების გამო სჯიან დღეს აფხაზეთის ომგამოვლილ მარტოხელა ქალს და თურმე, მიუხედავად ასეთი იურიდიული ნონსენსისა, სახელმწიფოსგან სრულად დაკმაყოფილებულია, მაგრამ რჩება ერთი იურიდიულად გამართული კითხვა: თუკი ნანული მიქელაძე კომპენსირებული იყო და თავშესაფარიც ჰქონდა, რატომ გადასცა და გამოუყო დროებით საცხოვრებლად ქედის კომუნის ქუჩაზე სამინისტრომ თუნდაც დროებითი თავშესაფარი? რატომ არ აცნობეს მას, რომ ია მიქელაძე მის მაგივრად წყვეტდა მის ბედს და ხელს აწერდა ისეთი ტიპის ხელშეკრულებას, რითაც მას ყველაფრის მოთხოვნის უფლება ეკარგებოდა? რატომ დაეყრდნო სახელმწიფო მხოლოდ ერთი პირის, ია მიქელაძის განმარტებას, რომ ის პასუხისმგებელი იქნებოდა ამ ხელშეკრულებით სხვა პირთა წინაშე? აი, კითხვები, რომელთაც ქ-ნი ნანული თემიდას წინაშე წარმატებით სვამდა, მაგრამ ჩვენმა სასიქადულო მართლმსაჯულებამ ისეთივე წარმატებით არ შეისმინა გიგი უგულავას მეფობის პერიოდში ერთხელ უკვე ჩადენილი დანაშაულის ამბავი, როგორც სულ ახლო წარსულში. რატომ? იმიტომ, რომ ე. წ. კოჰაბიტაციის ტყვეობა სამართლის ბნელ კარიბჭეებჭეებამდეც აღწევს.

ვფიქრობ, სახელმწიფო მოძებნის ამ საქმიდან გამოსავალს და, როგორც სამართალმემკვიდრე, გამოასწორებს ძველი ხელისუფლების მიერ დაშვებულ შეცდომას და მიიღებს ისეთ ნორმატიულ აქტს,რომელიც ღიად არ დატოვებს აფხაზეთიდან დევნილი მოქალაქეების კომპენსაციისა და ბინით დაკმაყოფილების პრობლემას, როგორც ეს ქ-ნი ნანული მიქელაძის შემთხვევიდან გამოჩნდა.

P.S ვფიქრობ, სახელმწიფო მოძებნის ამ საქმიდან გამოსავალს და როგორც სამართალმემკვიდრე, გამოასწორებს წინა ხელისუფლების მიერ დაშვებულ შეცდომებს, მიიღებს ისეთ ნორმატიულ აქტს/აქტებს, რომელიც დაარეგულირებს აფხაზეთიდან დევნილი მოქალაქეების ქონებრივ უფლებებს. დაველოდოთ სახელმწიფოს რეაქციას. ჩვენი რედაქცია კვლავ დაუბრუნდება აღნიშნულ თემას.

სახალხო დამცველის საქმენი საგმირონი

ნანა კაკაბაძე

საქართველოს სახალხო დამცველად წოდებულმა ნინო ლომჯარიამ მთელი 6 წლის განმავლობაში ვერ ან არ გააცნობიერა, თუ რა ფარგლებში უნდა განეხორციელებინა კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებები.

საქართველოს კონსტიტუციის 78-ე მუხლის მიხედვით, „კონსტიტუციურმა ორგანოებმა თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში მიიღონ ყველა ზომა ევროპის კავშირსა და ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციაში საქართველოს სრული ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად“, ხოლო სახალხო დამცველის შესახებ კანონის მე-8 მუხლის მიხედვით, „არ შეიძლება საქართველოს სახალხო დამცველი იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი ან მონაწილეობდეს პოლიტიკურ საქმიანობაში“.

ამ ორი ფუნდამენტური დებულების უხეში დარღვევით, მთელი 6 წლის მანძილზე ნინო ლომჯარია უფრო მეტ ყურადღებასა და დროს უთმობდა უფლებამოსილების ფარგლებიდან გასულ საგარეო საქმიანობას, პოლიტიკურ დაკვეთებს და თითქმის არ ასრულებდა საკუთარ უფლებამოვალეობებს. კერძოდ:

ლომჯარია საპარლამენტო ტრიბუნიდან თავს იწონებდა, რომ ის თითქოსდა აქტიურად იყო ჩართული ევროსტრუქტურებთან ურთიერთობაში საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატობის სტატუსთან დაკავშირებით (რაც მის უფლებამოსილებას არ წარმოადგენდა), თუმცა, რატომღაც, ერთხელაც არ შეუფასებია საჯაროდ, საქართველოს მდგომარეობა ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში მართლაც ჩამორჩებოდა მოლდოვასა და უკრაინას, თუ ამ ქვეყნების წინ დაყენება საკუთარ სამშობლოზე წმინდა პოლიტიკური ანგარიშსწორება იყო.

ნინო ლომჯარიას არ შეუფასებია პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის იძულებითი გადაწყვეტილება, რომელიც გარე ზეწოლის შედეგად კრიმინალების გათავისუფლებას უკავშირდებოდა.

სამაგიეროდ, პოლიტიკურ დისკუსიებში აქტიურად შედიოდა პრემიერ-მინისტრთან და მმართველი პარტიის თავმჯდომარესთან. პოლიტიკური ანგაჟირებულებით აფასებდა და აკრიტიკებდა მათ.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ აღმოჩნდა აშკარად მიკერძოებული, რასაც ადასტურებს საკონსტიტუციო სასამართლოში შეიტანილი მისი უსაფუძვლო სარჩელი, რომელიც მიზნად ისახავდა ქვეყნისთვის ამ უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტის დასუსტებასა და მისდამი არასწორი აღქმების გაჩენას.

ათასობით პატიმრის მასთან შეხვედრის თხოვნებს სისტემატურად უგულებელყოფდა, მაგრამ მსჯავრდებულ მიხეილ სააკაშვილის ყოველ ამოხველებაზე მისი საკნის კართან დემონსტრაციულად იყო ატუზული, რაც დანარჩენი პატიმრების სამართლიან გაღიზიანებასა და პროტესტებს იწვევდა.

სააკაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის ხელოვნურად ტრაგედიად წარმოჩენისათვის ხელის შეწყობაში და სასამართლო სისტემის ლანძღვა-გინებაში იმდენი დრო და ენერგია დახარჯა, რომ საერთოდ ვერ შენიშნა მოსამართლის ჩივილი იმაზე, რომ აშშ-ის საელჩო მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაზე ახსნა-განმარტებას სთხოვდა, ხოლო ამაზე უარის მიღების შემდეგ, ეს მოსამართლე საელჩომ დასაჯა და ამოიღო აშშ-ში გასამგზავრებელთა სიიდან.

6 წლის განმავლობაში სახალხო დამცველი არ შეუწუხებია ჟურნალისტების მხრიდან ადამიანის უფლებათა უხეშ და სისტემატურ დარღვევის ფაქტებს არც რიგითი მოქალაქეების და არც ცნობადი სახეების მიმართ.

ამ საკითხებს ადამიანის უფლებების ნაცვლად, პოლიტიკური პრიზმიდან აფასებდა.

იმდენად გადაეშვა ლომჯარია პოლიტიკური ბრძოლის მორევში, რომ ერთ-ერთ ანტისახელისუფლო მიტინგზე აქტიური მონაწილეობის დროს, იმის გამო, რომ საქართველოს ხელისუფლება უარს აცხადებდა ქვეყანაში რუსეთის წინააღმდეგ მეორე ფრონტის გახსნაზე, პირდაპირ განაცხადა: „დგება მომენტი, როდესაც ბომბებისგან მიღებული ცეცხლი უფრო სჯობდეს იმ სირცხვილს და იმ წვას, რაც თუნდაც ამ სიტყვების მოსმენის შემდეგ ალბათ ძალიან ბევრმა ქართველმა ვიგრძენით“.

ამ სიტყვების შინაარსი კი, რომლებზეც ლომჯარია მიუთითებდა, იყო ხელისუფლების დამუნათება, რომ ის არასაკმარისად ეხმარებოდა უკრაინას და რომ დახმარება უკრაინისთვის მხოლოდ საქართველოსგან რუსეთისთვის მეორე ფრონტის გახსნა ყოფილა.

პარლამენტში გამოსვლისას ის შეეცადა ამის ემოციური ფონით ახსნას, რითაც აღიარა, რომ ზედმეტი მოუვიდა, თუმცა, იმის გავითვალისწინებით, რომ ამ საკითხზე ნებისმიერი დისკუსიის დროს ის საქართველოს ხელისუფლების უკრაინისთვის დახმარების გამოვლენას არასაკმარისად მიიჩნევდა, გასაგებია მისი პოზიცია - უკრაინისთვის სოლიდარობის საკმარისი გამოხატულება სწორედ საქართველოში მეორე ფრონტის გახსნა უნდა ყოფილიყო, რითაც საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგოდ აქტიურად ცდილობდა იმ ქვეყნების ინტერესების გატარებას, რომელთა წარმომადგენლებიც დაჟინებით მოითხოვდნენ საქართველოსგან რუსეთთან საომარი მოქმედებების დაწყებას.

როდესაც ქვეყნის №1 უფლებადამცველი ასე აზროვნებს, სრულიად გასაგებია, რომ ის ასრულებს არა კანონით განსაზღვრულ თავის პირდაპირ მოვალეობას, არამედ მოქმედებს ოპოზიციონერი პოლიტიკოსების მიერ განსაზღვრული დღის წესრიგით, რის გამოც ამ ინსტიტუციისთვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი 8 მილიონ ლარზე მეტი ადამიანის უფლებების დაცვას მაგივრად, ძირითადად პოლიტიკურ პიარ-კამპანიებს მოხმარდა, რის გამოც, საბოლოოდ, ეს ფული ქვეყნისთვის არამიზნობრივად გახარჯული, ანუ ჰაერში გადაყრილი აღმოჩნდა.

და ბოლოს:

სახალხო დამცველის ინსტიტუტი საქართველოში 1996 წელს შეიქმნა და სხვადასხვა დროს ამ მნიშვნელოვან საკონსტიტუციო ინსტიტუტს წარმოადგენდნენ: დავით სარალიძე (1997-2000), ნანა დევდარიანი (2000-2003), სოზარ სუბარი (2004-2009), გიორგი ტუღუში (2009-2012), უჩა ნანუაშვილი (2013-2017) და ნინო ლომჯარია (2017-2022). მიუხედავად თითოეული მათგანის პლუსებისა და მინუსებისა, შეიძლება ითქვას, რომ სახალხო დამცველის ინსტიტუტი ყველაზე მეტად სწორედ ამ უკანასკნელმა დააზიანა, რადგან მთლიანად პოლიტიზირებული გახადა, რითაც გამოაცალა ობიექტურობის, ნეიტრალურობისა და მიუკერძოებლობის ის მთავარი საფუძველი, რომლითაც ფასობს ეს ინსტიტუტი.

მთავარი საშიშროება ის არის, რომ სახალხო დამცველის მიერ პოლიტიკისკენ ასე გაკვალულ გზას შეიძლება მომავალი ომბუდსმენებიც გაყვნენ და ამით საერთოდ დაასამარონ ეს მნიშვნელოვანი ინსტიტუტი.

„60+ კლუბი ჯანსაღი და აქტიური ცხოვრებისთვის“

60 წლისა და მეტი ასაკის მოქალაქეების ჯანსაღი და აქტიური ცხოვრების ხელშეწყობის მიზნით, დღეიდან თბილისის მერიის მორიგი სერვისი ამოქმედდება - მირზა გელოვანის სახელობის ბიბლიოთეკაში „60+ კლუბი ჯანსაღი და აქტიური ცხოვრებისთვის“ გაიხსნა.

ღონისძიებას დედაქალაქის მერის მოადგილე ანდრია ბასილაია თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე, ვაკის რაიონის მაჟორიტარ დეპუტატ გიორგი ტყემალაძესთან ერთად დაესწრო.

ანდრია ბასილაიამ თბილისის მულტიფუნქციური ბიბლიოთეკების გაერთიანების დირექტორ ნინია მაჭარაშვილთან და გაერო-ს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისის ხელმძღვანელ ლელა ბაქრაძესთან ერთად, თანამშრომლობის მემორანდუმს მოაწერა ხელი. მემორანდუმი „60+ კლუბის“ პროექტის მხარდაჭერასა და გაფართოებას ითვალისწინებს.

„გვაქვს შესაძლებლობა, ჩვენს მოქალაქეებს საპილოტე რეჟიმში ახალი მუნიციპალური სერვისი შევთავაზოთ. მნიშვნელოვანია, რომ 60+ მოსახლეობისთვის. ჯანსაღი ცხოვრების პოპულარიზაციის მიზნით, ამ ასაკის მოქალაქეებისთვის ორ სპორტულ ცენტრში სერვისების შეთავაზება დავიწყეთ. მზად ვართ, ყველა ის მიმართულება განვავითაროთ, რომელიც 60 წლის და მეტი ასაკის მოქალაქეებისთვის მნიშვნელოვანი იქნება. მომდევნო კლუბის გახსნა დიდი დიღმის მულტიფუნქციურ სივრცეში იგეგმება. მზად ვართ, სხვა უბნებიც მოვიცვათ“, - განაცხადა ანდრია ბასილაიამ.

„60+ კლუბი ჯანსაღი და აქტიური ცხოვრებისთვის“ თბილისის მუნიციპალური სერვისია და განკუთვნილია 60 წლის და მეტი ასაკის ადამიანებისთვის.

საწყის ეტაპზე, დაგეგმილია სამი სხვადასხვა აქტივობა - ვარჯიში, ხატვა და მუსიკა. კლუბის წევრები დაესწრებიან სპორტულ-გამაჯანსაღებელ ვარჯიშებს, არტთერაპიას - ხატვას, რომელსაც მხატვარი ქეთევან მატაბელი შეასწავლის და მუსიკას, რომლის გაკვეთილებსაც მუსიკოსი ია შუღლიაშვილი ჩაატარებს.

„60+ კლუბი“, რომელიც მირზა გელოვანის სახელობის ბიბლიოთეკაში (ვაჟა ფშაველას გამზ. N99) მდებარეობს, წევრებს ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, 10:00-დან 19:00 საათამდე მოემსახურება. მსურველებს რეგისტრაციის გავლა ადგილზე შეეძლებათ.

კლუბის გახსნის ღონისძიებას ვაკის რაიონის გამგებელი დავით კვინიკაძე და საკრებულოს დეპუტატებიც დაესწრნენ.

თბილისის მერიის პრესსამსახური

დონალდ ტრამპი: აუცილებელია სამშვიდობო დიალოგის დაწყება

ორშაბათს დილიდან უცხოეთის პრესამ გაავრცელა ინფორმაცია — რუსეთმა მასირებული შეტევები განახორციელა უკრაინის დიდ ქალაქებზე კიევზე, ხარკოვზე, ლვოვზე, დნეპროპეტროვსკზე, ოდესაზე და ა. შ. კიევში და ხარკოვში მეტროს მუშაობა გააჩერეს. დაბომბილია კიევის ცენტრალური უბნები, მათ შორის, რადას და უკრაინის უშიშროების სამსახურის მიმდებარე ტერიტორიები, გაითიშა ინტერნეტი... პრეზიდენტი ზელენსკი პოლონეთის მიმართულებით გაიქცა. რუსეთს არ დასჭირდა ბირთვული იარაღის გამოყენება. წინასწარი მონაცემებით, ჩვეულებრივი იარაღით მიყენებული ზარალი კოლოსალურია. ზუსტ ინფორმაციას, ჯერჯერობით, რუსეთის საინფორმაციო საშუალებებიც არ ავრცელებენ. დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი ხელისუფლების გაწონასწორებულმა მოქმედებამ საქართველო კატასტროფულ შედეგებისგან გადაარჩინა. კარგად გამოჩნდა, საითკენ გვიბიძგებდნენ ჩვენი შინაური და გარეული „კეთილისმსურველები“.

„ტოტალური კატასტროფა!“ — ასე შეაფასეს გასულ კვირას ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ადმინისტრაციაში ოპეკის მიერ მიღებული გადაწყვეტილება — ნავთობის მომპოვებელი ქვეყნები დღე-ღამეში ორი მილიონი ბარელით შეამცირებენ „შავი ოქროს“ ამოღებას. ექსპერტების შეფასებით, ოპეკმა, ვენაში მიღებული გადაწყვეტილებით, გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა მსოფლიოს ეკონომიკას.

აშშ-ის ხელისუფლებამ გაზაფხულზე სთხოვა ვენესუელას, გაეზარდა ნავთობის მოპოვება, რის სანაცვლოდაც ქვეყანას დაწესებულ სანქციებს მოუხსნიდნენ, მაგრამ უარი მიიღო. აშშ-ის პრეზიდენტმა, ჯო ბაიდენმა ზაფხულის დასაწყისში ერთპიროვნული გადაწყვეტილებით ნავთობის ფედერალური ხელშეუხებელი მარაგი გახსნა. 700 მლნ ბარელი ნავთობიდან, დღემდე, უკვე ნახევარი გახარჯულია. მარაგი ყოველდღიურად მცირდება.

ფედერალური რეზერვის გახსნისთვის ოპონენტები ჯო ბაიდენს დღემდე აკრიტიკებენ. პრეზიდენტს იმედი ჰქონდა, რომ რეზერვის მცირე რაოდენობას გახარჯავდა. ივლისში ბაიდენი ოფიციალური ვიზიტით არაბეთის ქვეყნებს ეწვია. მისი მიზანი იყო, დაეთანხმებინა ქვეყნები, ნავთობის მოპოვება გაეზარდათ. აშშ-ის პრეზიდენტს საკმაოდ ცივად დახვდნენ. წინასაარჩევნოდ მისი არაკორექტული გამონათქვამების გამო საუდის არაბეთში ბაიდენზე განსაკუთრებით განაწყენებულები არიან. ზაფხულში არაბები, სავარაუდოდ, ზრდილობის გამო ბაიდენს შეჰპირდნენ, რომ დღე-ღამეში 300 ათასი ბარელით გაზრდიდნენ ნავთობის მოპოვებას. ვენაში, ოპეკის შეხვედრაზე, საუდის არაბეთმა ერთერთმა პირველმა დაუჭირა მხარი რუსეთს და მიიღეს გადაწყვეტილება — ნავთობის მოპოვება გაზრდის ნაცვლად მნიშვნელოვნად შეამცირონ.

ევროკავშირის წევრი ქვეყნები გასულ კვირას რუსეთისთვის ახალი სანქციების დაწესებას განიხილავდნენ. გადაწყდა, რომ რუსებს გასაყიდ ნავთობზე ფასის ზედა ზღვარს დაუწესებდნენ. ოპეკის გადაწყვეტილებამ თეთრი სახლის ადმინისტრაცია საფუძვლიანად შეაშფოთა, რადგან ნავთობის მოპოვების შემცირება საწვავზე ფასების ზრდას გამოიწვევს. რაც მთავარია, არაბული ქვეყნები აშშ-ის აზრს აღარ ითვალისწინებენ. შუალედურ არჩევნებამდე ერთი თვით ადრე შექმნილმა სიტუაციამ საგრძნობი დარტყმა მიაყენა პრეზიდენტს და, საერთოდ, დემოკრატიულ პარტიას.

ამერიკული პრესის ინფორმაციით, სახელმწიფო დეპარტამენტში, გაზსადენის აფეთქების შემდეგ, სიხარულს ვერ მალავდნენ. უკვე თვეებია, ევროპაში ეძებენ რუსული გაზის ალტერნატივას, მაგრამ უშედეგოდ. როგორც ირკვევა, აშშ ევროპის ქვეყნებს ნავთობპროდუქტებით ვერ დაეხმარება. თხევადი და დაწნეხილი გაზის ტრანსპორტირება ძვირი ჯდება. სახელმწიფო მდივანი, ენტონი ბლინკენი პირდაპირი ტექსტით მიესალმა გაზსადენების აფეთქებას.

ოპეკის გადაწყვეტილების შემდეგ ევროპის ქვეყნებში საწვავის, კერძოდ, ბენზინის დეფიციტია. გერმანიის ყოფილი კანცლერის, ანგელა მერკელის განცხადებით, „...ევროპის ენერგოდამოუკიდებლობა შესაძლებელია რუსეთთან თანამშრომლობით და არა კონფრონტაციით“.

პრობლემები აშშ-ში მრავლად დაუგროვდათ. ორი კვირის წინ ფლორიდის შტატს დამანგრეველმა ქარიშხალმა გადაუარა. დაიღუპა 100-ზე მეტი ადამიანი. ეკონომიკურმა ზარალმა მილიარდ დოლარს გადააჭარბა. შემთხვევის ადგილზე ჯო ბაიდენი სტიქიური უბედურებიდან ერთი კვირის შემდეგ ჩავიდა. მოსახლეობას დახმარებას შეჰპირდა, თუმცა კონკრეტული თანხა, რამდენით დაეხმარება აშშ-ის ხელისუფლება დაზარალებულებს, პრეზიდენტს არ დაუსახელებია. სამაგიეროდ, უკრაინისთვის იარაღის შესაძენად, ამჯერად, 625 მილიონი დოლარი გამოყო. გასულ კვირას ცნობილი გახდა, რომ აშშ-ის სახელმწიფო საგარეო ვალმა 31,3 ტრილიონ დოლარს გადააჭარბა. ამ ფონზე წარმომადგენლობით პალატაში დებატები გაიმართა, სადაც განიხილავდნენ, შესაძლებელია თუ არა მამაკაცი დაფეხმძიმდეს და იმშობიაროს!..

უკრაინისთვის იარაღის მიწოდებას რუსეთი აშშ-ის კონფლიქტში მონაწილეობად მიიჩნევს. ამას აშშ არც უარყოფს და არც ეთანხმება, იგი დუმილის რეჟიმშია. ბირთვულ ომზე ბოლო პერიოდში სულ უფრო აქტიურად საუბრობენ. უკრაინის პრეზიდენტმა ვლადიმერ ზელენსკიმ ნატოს წევრ ქვეყნებს, რომლებსაც ბირთვული იარაღი აქვთ, მოუწოდა, რუსეთზე პრევენციული ატომური დარტყმა განახორციელონ. მისმა ტრადიციულად გაუწონასწორებელმა გამონათქვამმა შეაშფოთა მსოფლიოს პოლიტიკური საზოგადოების ნაწილი. კიევში მოსახლეობის ერთი ნაწილი იმუქრება: თუ რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი უკრაინაზე ბირთვულ შეტევას განახორციელებს, ისინი თავიანთი დედაქალაქის ცენტრში სექსუალურ მასობრივ ორგიებს მოაწყობენ!

მსოფლიოს პოლიტიკოსებიდან მხოლოდ დონალდ ტრამპი მოუწოდებს შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილე მხარეებს, შეწყვიტონ ბრძოლები და დიალოგი დაიწყონ. ნევადის შტატში მომხრეებთან გამოსვლისას, ტრამპმა განაცხადა: „ბაიდენი არასერიოზულად უყურებს შექმნილ სიტუაციას. უკრაინისთვის იარაღის მიწოდების ნაცვლად, აუცილებელია სამშვიდობო მოლაპარაკებების დაწყება, რათა თავიდან ავიცილოთ მესამე მსოფლიო ომი, რომლის ზღვარზეც იმყოფება სამყარო“. ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ელიზაბეტ ტრასმა თანაპარტიელებთან გამოსვლისას თქვა: „...უკრაინას მშვიდობის დამყარების ილუზია არ უნდა შევუქმნათ... ჩვენ მათ დავეხმარებით მანამდე, ვიდრე საჭიროა, უკრაინამ უნდა გაიმარჯვოს! უკრაინა გაიმარჯვებს!“

ბოლო სამ კვირაში მეორე საერთაშორისო ტერორისტული აქტი განხორციელდა. გასულ შაბათს ყირიმის ხიდზე დანაღმული სატვირთო მანქანა აფეთქდა. შედეგად, ცეცხლი გაუჩნდა სატვირთო მატარებლის რამდენიმე ვაგონს, რომლითაც ნავთობპროდუქტები გადაჰქონდათ. ხანძრის ლიკვიდაცია მალევე შეძლეს. ნაგებობა მნიშვნელოვნად არ დაზიანებულა, გადარჩა საყრდენი ბურჯები. მომხდარისთანავე უკრაინის ხელისუფლებამ ტრაბახი დაიწყო, ოპერაცია ჩვენმა სპეცსამსახურებმა განახორციელესო. თუმცა ტერაქტის განხორციელება მალე გადათქვეს. იმასაც ამბობენ, რომ აფეთქება თავად რუსეთმა განახორციელა. აშშ-ის მტკიცებით, ყირიმის ხიდზე აფეთქება სწორედ უკრაინელებმა დაგეგმეს და განახორციელეს.

ცნობილია, ყირიმის ხიდის აშენების იდეა რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმირ პუტინს ეკუთვნის, ამიტომ ობიექტზე შეტევა რუსეთში მტკივნეულად აღიქვეს. ჩინეთის ოფიციალური პირების განცხადებით, ხიდის აფეთქება კიდევ უფრო გაამწვავებს ზოგად ვითარებას. გაზსადენებზე აფეთქება ჩინელებმა საერთაშორისო ნორმებზე შეტევად შეაფასეს.

ჩეხეთის დედაქალაქი ევროკავშირის სამიტთან ერთად ევროპის პოლიტიკური თანამეგობრობის პირველ სამიტს მასპინძლობდა. მნიშვნელოვანი მოვლენა პრაღაში აზერბაიჯანის პრეზიდენტის ილჰამ ალიევის და სომხეთის პრემიერ-მინისტრის ნიკოლ პაშინიანის შეხვედრა გახლდათ. დიალოგის გამართვაში თურქეთის პრეზიდენტი რეჯეფ ტაიფ ერდოღანი აქტიურობდა. ალიევმა არ გამორიცხა აზერბაიჯან-სომხეთს შორის სამშვიდობო ხელშეკრულების გაფორმება. გასულ კვირას ორივე ქვეყნის ლიდერი კვლავ შეხვდა ერთმანეთს, ამჯერად რუსეთში, სანკტ-პეტერბურგში გამართულ დსთ-ის ქვეყნების არაფორმალურ შეკრებაზე.

ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორისაც იძაბება ურთიერთობა. პოლონეთი გერმანიისგან მეორე მსოფლიო ომში მიღებული ზარალის — 1,3 ტრილიონი დოლარის ანაზღაურებას მოითხოვს. მართალია, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ანალენა ბერბორკი ამის წინააღმდეგია, მაგრამ, პოლონელები ბოლომდე ეცდებიან მიზნის მიღწევას. დაველოდოთ მოვლენების განვითარებას, შემოდგომაზე ბევრი სიახლეა სამყაროში მოსალოდნელი, კარგის თუ ცუდის — გამოჩნდება.

გია ბურდული
551 71 27 07

ბოლშევიზმი და საქართველო

როდესაც საქართველოში მებრძოლ უღმერთოთა კავშირი (მუკი) შეიქმნა ძველმა ბოლშევიკმა მისი ბეჭვდითი ორგანოს ხელმძღვანელობა ითავა. იგი არა მხოლოდ ჟურნალს ხელმძღვანელობდა – მას საქართველოში ათეისტური ხასიათის ლიტერატურის შექმნა, პოპულარიზაცია და გავრცელება ევალებოდა. ჟურნალში ანტირელიგიურ თემაზე პასკვილების წერის გარდა, სილიბისტრო ანტირელიგიურ თემაზე პოემებსაც თხზავდა. ერთ-ერთ მის „შედევრს“ „დაბადება, ანუ ბიბლია“ ერქვა. წიგნის წინასიტყვაობაში სილიბისტრო თოდრია მკითხველს ბიბლიის შესახებ საკუთარ მოსაზრებას ღიად უზიარებდა: „...ამ ძველ აღთქმაში კი რა გინდა სულო და გულო, რომ არ შეხვდები, – დაწყებული პორნოგრაფიიდან და გათავებული ყოველგვარი სისაძაგლით! ღმერთი, რომელიც გამოყვანილია ყოვლის გამჩენად, ყოვლის შემძლეთ, იმავე დროს, შიგა და შიგ, პირდაპირ პამპულას როლს თამაშობს: ლაყბობს,

სცრუობს, იჩენს სულმდაბლობას, სიმკაცრეს, მედიდურობას, უვიცობას და სხვა ისეთ ღირსებებს, რომელიც არ შეფერის უბრალო ფარისეველ მოხუცსაც კი“.

სილიბისტრო თოდრიას დაწერილი 78-გვერდიანი წიგნი საქართველოში 1931 წელს 5000 ტირაჟით გამოვიდა და 50 კაპიკად იყიდებოდა.

ქვეყანაში უღმერთოთა იდეების აქტიური დანერგვა დაიწყო. საქართველოს ცეკასთან არსებულმა აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილებამ მოსახლეობის ფართო მასებში ანტირელიგიური კამპანიის წარმოების გეგმა შეიმუშავა. 1923 წლის 23 თებერვალს საქართველოში გამომავალი ყველა გაზეთის რედაქტორმა საქართველოს კომპარტიის მდივნის მიხეილ კახიანის ხელმოწერით მიიღო საიდუმლო ცირკულარი, სადაც ეწერა, რომ პარტია ავალებს გაზეთებს, გამოყონ სპეციალური რუბრიკა, სადაც სისტემატიურად დაიბეჭდება ანტრირელიგიური მასალები და კარიკატურები. მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობოდა ანტირელიგიურ ლექციებს, რომელსაც წინასწარ მომზადებული ლექტორები კითხულობდნენ. მსგავსი ლექციები ტარდებოდა ყველა დაწესებულებაში: ქარხნებში, ფაბრიკებში, კოლმეურნეობებში, ფერმებში. შესვენების დროს ლექციების ჩასატარებლად, უღმერთოთა კავშირი თავდაპირველად წითელ პროფესურას იყენებდა. დროთა განმავლობაში ათეისტ ლექტორთა რიცხვი გაიზარდა – 1930 წელს თბილისში ანტირელიგიური უნივერსიტეტი დაარსდა, რომელიც მარქსისტული მსოფლმხედველობის ათეისტ მუშაკებს ამზადებდა. უნივერსიტეტი 3-წლიანი იყო და მასში სასწავლებლად 18-30 წლის ახალგაზრდებს იღებდნენ. ყველაზე დიდ ყურადღებას ბოლშევიკები მომავალი თაობის ანტირელიგიურ აღზრდას უთმობდნენ. კომუნისტების გეგმით, მომავალი თაობა ისე უნდა აღზრდილიყო, რომ მათ აზროვნებაში ეკლესიის ადგილი არ დარჩენილიყო. სკოლებში ნორჩ უღმერთოთა უჯრედების ჩამოყალიბება დაიწყო, რომელთა მიზანი იყო მოსწავლეთა შორის ათეისტური პროპაგანდა და ნორჩი აგიტატორების მომზადება. იგულისხმებოდა, რომ ნორჩი უღმერთო ოჯახშიც გასწევდა ანტირელიგიურ მუშაობას, რითაც ხელს შეუწყობდა მშობლების უღმერთოთა რიგებში გაწევრიანებას. სპეციალური ინსტრუქტაჟი უტარდებოდათ სკოლის მასწავლებლებსაც. საქართველოს პედაგოგთა დასახმარებლად რუსეთიდან სპეციალური ჯგუფები ჩამოდიოდნენ, რომლებიც ადგილზე უხსნიდნენ მომმე უღმერთოებს ბავშვთა დამუშავების მეთოდებს. ჟურნალ „მებრძოლ უღმერთოს“ 1932 წლის N5 ნომერში, მთელი სტატია იყო მიძღვნილი ლენინგრადიდან ჩამოსული უღმერთო პედაგოგებისადმი: „ქალაქ ლენინგრადიდან ჩამოსულმა უღმერთო პედაგოგთა ბრიგადამ თავისი მუშაობა დაასრულა. ბრიგადის წევრებმა (ამხ. სალდატოვი, ჟიბარევი, კუზნეცოვი, მაკალათია) საქართველოს უღმერთო პედაგოგთა აქტივს, როგორც ტფილისში, ასევე ავტონომიურ რესპუბლიკებში, დიდი მეთოდური დახმარება გაუწია... ჩატარებული მუშაობის და საქართველოში ანტირელიგიური ფრონტის მდგომარეობის შესახებ ბრიგადა მოხსენებას გააკეთებს მოსკოვში – მუკ-ის საკავშირო ცენტრალურ საბჭოში...“

30-იანი წლების დასაწყისში, ბოლშევიკებმა ანტირელიგიური ხუთწლედი გამოაცხადეს. ამ გეგმის მიხედვით, 1937 წლისთვის საბჭოთა კავშირი მთლიანად უღმერთო ქვეყნად უნდა გადაქცეულიყო. 1933 წელს იკეტებოდა ყველა ეკლესია, რომელიც ჯერ კიდევ მოქმედებდა; 1934 წელს უნდა აღმოფხვრილიყო ყველა რელიგიური ტრადიცია; 1935 წელს ანტირელიგიურ პროპაგანდას უნდა მოეცვა ყველა და ყველაფერი; 1936 წელს ქვეყანაში არ უნდა დარჩენილიყო არც ერთი სასულიერო პირი; 1937 წელს კი საბჭოთა კავშირს რელიგიაზე გამარჯვება უნდა ეზეიმა.

1937 წელს საბჭოთა კავშირში ჩატარებული მოსახლეობის საყოველთაო აღწერის შედეგები ბოლშევიკებისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. გამოკითხვის ანკეტაში ჩასვეს გრაფა, სადაც რესპონდენტს უნდა ეპასუხა, სწამს თუ არა მას ღმერთის. წერა-კითხვის უცოდინართა შორის გამოკითხული 30 მილიონი მოქალაქიდან 84 პროცენტი მორწმუნე აღმოჩნდა, ხოლო 68,5 მილიონ განათლებულ მოქალაქეში ღმერთის არსებობის 45 პროცენტს სჯეროდა. ამის შემდეგ რელიგიის წინააღმდეგ კამპანია კიდევ უფრო გაძლიერდა. სწორედ 1937 წლის შემდეგ დაიწყო მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ზრდა. ტოტალური რეპრესიების პერიოდში მორწმუნეთა და სასულიერო პირთა დაპატიმრებამ საყოველთაო ხასიათი მიიღო. ხალხი ისე იყო დაშინებული, რომ 1938 წლის აღდგომის ღამეს სიონის ტაძარში მლოცველთა რაოდენობა 100 კაცს არ აღემატებოდა. ასეთ დროს მებრძოლ უღმერთოთა კავშირის მანდატი მოსახლეობის ნაწილისთვის თავის გადარჩენის საშუალებად იქცა. 1938 წელს საქართველოში უღმერთოთა რიცხვი 150 ათასამდე გაიზარდა. ყველაზე დიდი რაოდენობა კი 1940 წელს დაფიქსირდა. ამ წელს საქართველოში თითქმის ყოველი მე-20 ადამიანი უღმერთო იყო. უღმერთოების მანდატს 202 ათას 11 ადამიანი ატარებდა.

ხელისუფლების ძალდატანებას მოსახლეობა პროტესტით ხვდებოდა. საჩხერის რაიონში დააპატიმრეს 15-16 წლის ექვსი ქალიშვილი იმის გამო, რომ მათ ეკლესიაზე გამოკიდებული წითელი ალამი ჩამოგლიჯეს. სოფელ აღაიანში კომკავშირელმა გიორგი თინიკაშვილმა სკოლის შენობას ჩამოხსნა ზარი და ეკლესიის სამრეკლოზე დაჰკიდა. ონის რაიონში ეკლესიის დაკეტვამ მოსახლეობის ისეთი აღშფოთება გამოიწვია, რომ ხელისუფლებას მათი წყლის ჭავლით დაშლა მოუხდა. აკრძალვის მიუხედავად, მღვდლები ბავშვების მონათვლას ჩუმად მაინც ახერხებდნენ. 1936 წელს კომუნისტებმა დახვრიტეს მღვდელი პავლე დაშნიანი, რომელმაც ლეჩხუმში ერთი თვის განმავლობაში 112 ბავშვი მონათლა.

უღმერთოთა საქმიანობას საბოლოო წერტილი მეორე მსოფლიო ომმა დაუსვა. როდესაც საბჭოთა კავშირი ომში ჩაერთო, ანტირელიგიური კამპანია შეჩერდა. მებრძოლ უღმერთოთა კავშირი ოფიციალურად არ გაუქმებულა, მაგრამ მისი არსებობა უკვე ფორმალურ ხასიათს ატარებდა. შეწყდა უღმერთოების ბეჭვდითი ორგანოების გამოცემა, დაიშალა რაიონული ორგანიზაციების ფუნქციონირება.

ომის დროს ბოლშევიკებს ღმერთი დასჭირდათ. კომუნისტები მიხვდნენ, რომ მოსახლეობის დასარაზმად რელიგია ყველა კომუნისტურ ლოზუნგებზე ქმედითი იქნებოდა. სტალინის ბრძანებით, რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლა საერთოდ შეწყდა. უფრო მეტიც, მებრძოლ უღმერთოთა კავშირის ხელმძღვანელმა გუბელმანმა, ბელადის მითითებით, ომის პირველ თვეებში სტატიების ციკლიც კი დაწერა სათაურით: „რატომ არიან რელიგიური ადამიანები ჰიტლერის წინააღმდეგი“.

1943 წლის 5 სექტემბერს გაზეთ „პრავდაში“ პირველად მრავალი წლის განმავლობაში გამოქვეყნდა მოკლე ცნობა იმის თაობაზე, რომ სტალინთან რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის მიტროპოლიტების შეხვედრა გაიმართა. შეხვედრაზე მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის არჩევისათვის ეპისკოპოსთა საბჭოს სხდომის მოწვევაზე იმსჯელეს და ამ იდეას მხარი ბელადმა დაუჭირა. ამ ცნობის შემდეგ ნათელი გახდა, რომ მებრძოლ უღმერთოთა ორგანიზაცია აღარ იარსებებდა. 1943 წელს მოკვდა უღმერთოთა ლიდერი გუბელმანი. გაზეთში გამოქვეყნებულ ნეკროლოგში გუბელმანის ყველა თანამდებობა და საქმიანობა იყო ჩამოთვლილი, ანტირელიგიურის გარდა. გუბელმანი მოსკოვის კრემლის კედელთან დამარხეს. რაც შეეხება საქართველოს უღმერთოთა იდეურ წინამძღოლს, სილიბისტრო თოდრიას, იგი გაცილებით ადრე – 1936 წელს მოკვდა. ადამიანი რომელიც რელიგიის თემაზე პასკვილებს წერდა და ეკლესიების დანგრევას ამართლებდა, კომუნისტებმა მთაწმინდის პანთეონში, მამა-დავითის ეკლესიის ეზოში დაასაფლავეს. თავად მებრძოლ უღმერთოთა კავშირმა კი არსებობა ოფიციალურად 1947 წელს შეწყვიტა. ლიკვიდაციის დროს ქართველ უღმერთოებში 75 ათას 401 წევრი ირიცხებოდა. ორგანიზაციის გაუქმება საკავშირო მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 29 აპრილის დადგენილების საფუძველზე მოხდა, მას შემდეგ, რაც პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება დაარსდა, რომელსაც მატერიალური და მეცნიერული პროპაგანდის საქმეში მუკ-ის ფუნქცია გადაეცა.

მარიამ ჯანჯღავა
511 17 73 72

საერთო გაზეთის იურისტის კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი **მთვარისა კევლიშვილი.** ტელ.: 593 78-64-69

— ვარ დაზარალებული ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმეზე. ავიყვანე ადვოკატი, რომელმაც მითხრა, რომ ჩვენ ვერ ვიქნებით მხარე და, შესაბამისად, ვერ ვისარგებლებთ სასამართლოში მხარეთა უფლებამოსილებებით. რამდენად სწორია ადვოკატის ნათქვამი? და ვინ არიან მხარეები სისხლის სამართლის საქმეების განხილვისას?

— თქვენი ინტერესების დამცველმა ადვოკატმა პროფესიონალურად, კეთილსინდისიერად და სამართლებრივად სწორად განგიმარტათ თქვენთვის საინტერესო საკითხი.

სამწუხაროდ, დაზარალებული, ასევე დაზარალებულის ინტერესების დამცველი ადვოკატი სისხლის სამართლის საქმეზე არ წარმოადგენს მხარეს და, აქედან გამომდინარე, ბევრად შეზღუდულია მათი პროცესუალური უფლებები.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-5 ნაწილის მიხედვით, სისხლის სამართლის პროცესში მხარეს წარმოადგენს: ბრალდებული, მსჯავრდებული, გამართლებული, მათი ადოკატი, გამომძიებელი, პროკურორი.

ჩამოთვლილთაგან, ბრალდების მხარეა გამომძიებელი და პროკურორი, ხოლო დაცვის მხარეს მიეკუთვნებიან ბრალდებული, მსჯავრდებული, გამართლებული, მათი ადვოკატი.

* * *

— სისხლის სამართალში კანონებს რომ აქვთ უკუძალა, ეს ვიცი. მაინტერესებს, სამოქალაქო სამართალში თუ აქვს ახალ კანონს უკუძალა?

— დიახ, სისხლის სამართალში ახლად მიღებულ კანონს აქვს უკუძალა. კერძოდ:

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-3 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აუქმებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამსუბუქებს სასჯელს, აქვს უკუძალა.

დამატებით განგიმარტავთ, რომ სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აწესებს ქმედების დანაშაულებრიობას ან ამკაცრებს სასჯელს, უკუძალა არა აქვს.

განსხვავებით სისხლის სამართლისგან, სამოქალაქო კანონმდებლობაში ახლად მიღებულ კანონს ან ნორმატიულ აქტს არ გააჩნია უკუძალა, თუმცა, აქაც არსებობს გარკვეული დათქმა, რომელიც ჩადებულია შესაბამისი ნორმის შინაარსში. კერძოდ:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-6 მუხლის /სამოქალაქო კანონთა უკუძალა/, მიხედვით, კანონებსა და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს არა აქვთ უკუქცევითი ძალა, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს პირდაპირ არის კანონით გათვალისწინებული. არ შეიძლება კანონს მიეცეს უკუქცევითი ძალა, თუ იგი ზიანის მომტანია ან აუარესებს პირის მდგომარეობას.

* * *

— სად უნდა გადავამოწმო, არის თუ არა ანდერძი გაუქმებული ან შეცვლილი?

— სანოტარო წესით დამოწმებული ანდერძის შეცვლის ან გაუქმების თაობაზე ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია იმ ნოტარიუსთან, რომელთანაც დამოწმებულია კონკრეტული ანდერძი. თუ ანდერძის დამმოწმებელი ნოტარიუსი აღარ ასრულებს მოვალეობას, უნდა მიმართოთ იუსტიციის სახლებს.

* * *

მამაჩემმა, რომელიც გარდაიცვალა, დატოვა ორი ანდერძი. აქედან, ერთი შედგენილია სანოტარო ფორმით, მეორე კი არა. რომელი უნდა წარვადგინო ნოტარიუსთან?

— -ასეთ შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება სანოტარო ფორმით შედგენილ ანდერძს.

* * *

— ვარ იმ პირის მემკვიდრე, რომელსაც ქონება ჰქონდა საქართველოში, მაგრამ გარდაცვალების მომენტისათვის იგი იყო სხვა სახელმწიფოს მოქალაქე?-

— იმ ქვეყნის ნოტარიუსის მიერ, რომლის მოქალაქესაც გარდაცვალების მომენტისათვის წარმოადგენდა გარდაცვლილი (მამკვიდრებელი) , უნდა გაიცეს სამკვიდრო მოწმობა. აღნიშნული დოკუმენტი მემკვიდრის მიერ წარდგენილ უნდა იქნეს საქართველოს ნოტარიუსთან, რის შემდეგაც გაიცემა სამკვიდრო მოწმობა საქართველოში არსებულ, მამკვიდრებლის კუთვნილ კონკრეტულ ქონებაზე.

* * *

რა შემთხვევაში გაიცემა ნოტარიუსისგან სააღსრულებო ფურცელი?

პასუხი: ნოტარიუსისგან სააღსრულებო ფურცლის მისაღებად ნოტარიუსთან იპოთეკის, გირავნობის, სესხის და ფულად ვალდებულებებთან დაკავშირებული ნებისმიერი ხელშეკრულების გაფორმებისას უნდა მოითხოვოთ ხელშეკრულებაში სააღსრულებო ფურცლის გაცემის პირობის გათვალისწინება. ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში დაზარალებული მხარე პირდაპირ ნოტარიუსისგან იღებს სააღსრულებო ფურცელს, რაც უზრუნველყოფს თანხის დაბრუნებას სასამართლოსადმი მიმართვის გარეშე.

* * *

— სამკვიდრო მოწმობის მისაღებად რა დოკუმენტაცია უნდა წარვადგინო ნოტარიუსთან?

— სამკვიდრო მოწმობის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტაციის ერთიანი ნუსხა არ არსებობს. ცალკეულ შემთხვევებში შესაძლოა დამატებით დოკუმენტების წარდგენა გახდეს საჭირო, მაგრამ რაც აუცილებლად დაგჭირდებათ, ეს არის:

1) გარდაცვალების მოწმობა;

2) თქვენს, მემკვიდრესა და მამკვიდრებელს შორის არსებული ნათესაური კავშირის დამდგენი დოკუმენტი:

ა) თუ მეუღლე ხართ, ამას ადასტურებს ქორწინების მოწმობა,

ბ) თუ შვილი ხართ — დაბადების მოწმობა,

გ) თუ ნაშვილები ხართ — შვილად აყვანის მოწმობა და ა. შ.

გახსოვდეთ: რაც უფრო მომდევნოა თქვენი მემკვიდრეობის რიგითობა, ამ დოკუმენტების ჩამონათვალი გაიზრდება.

3) განცხადება;

4) თუ განცხადების შეტანა არ მოხდა გარდაცვალებიდან ექვსი თვის ვადაში, ნოტარიუსს წარუდგენთ იმ დოკუმენტებს, რაც დაადასტურებს, რომ თქვენ დაეუფლეთ სამკვიდროს დამტოვებლის ქონებას. ამ დოკუმენტების დასახელება მიანდეთ ნოტარიუსს;

5) მემკვიდრეობით მისაღები ქონების გარდაცვლილისადმი კუთვნილების დამდგენი დოკუმენტი;

6) ანდერძი — თუ ხართ ანდერძისმიერი მემკვიდრე;

ეს ჩამონათვალი სრული და ამომწურავი არ არის. ყოველი სამკვიდრო საქმე განსხვავებულია. მითითებულთაგან შესაძლოა, ორი დოკუმენტის წარდგენაც კი აღმოჩნდეს საკმარისი, მაგრამ შესაძლოა, პირიქით, ჩამონათვალს სხვა დოკუმენტებიც დაემატოს.

კონკრეტულ საკითხებში გაგარკვევთ და დაგეხმარებათ თქვენი ნოტარიუსი, უკიდურეს ვითარებაში კი — სასამართლო.

* * *

— რა არის სანოტარო მედიაცია?

— სანოტარო მედიაცია სამოქალაქო დავების (საოჯახო, სამემკვიდრეო, სამეზობლო. . .) მოგვარების ალტერნატიული ფორმაა. დავა წყდება სასამართლო განხილვის გარეშე, ნოტარიუსის დახმარებით.

სანოტარო მედიაციას სერტიფიცირებული ნოტარიუსები ახორციელებენ.

მედიატორი ნოტარიუსების რეესტრი განთავსებულია საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებგვერდზე: წწწ. ნოტარგ. გე.

სანოტარო მედიაციის ტარიფი განსაზღვრული არ არის, საზღაური ნოტარიუსსა და მხარეებს შორის შეთანხმებით განისაზღვრება.

მედიაციის პროცესი შესაძლებელია, ჩატარდეს, როგორც სანოტარო ბიუროში, ისე მის გარეთ.

* * *

— როგორ უნდა გავიგო, სწორად მახდევინებს თუ არა ნოტარიუსი საზღაურს?

— ნოტარიუსის მიერ სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის დადგენილი საზღაური გამოიანგარიშება "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N507 დადგენილების შესაბამისად. გადახდევინებული საზღაურის ოდენობა ნოტარიუსის მიერ მიეთითება სანოტარო აქტში, რომელიც ეძლევა სანოტარო მოქმედების მონაწილე მხარეს და სანოტარო მოქმედებათა რეგისტრაციის რეესტრში. გარდა ამისა, სანოტარო მოქმედების შესრულებისათვის განკუთვნილი საზღაურის შესახებ ინფორმაცია განთავსებული უნდა იყოს ყველა სანოტარო ბიუროში თვალსაჩინო ადგილას.

„საერთო გაზეთის“ რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს საქართველოს მთავრობის სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილის

შალვა ბერძენიშვილის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

„საერთო გაზეთის“ რედაქცია მწუხარებას გამოთქვამს თერჯოლის მერის

ლაშა გოგიაშვილის

ტრაგიკულად დაღუპვის გამო და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.



„საერთო გაზეთის“ რედაქცია იზიარებს ცნობილი ქართველი მწერლის

ზურაბ თორიას

ოჯახის მწუხარებას მისი გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

მწერალი მამაკაცებისა და მსახიობი ქალების სიყვარული და მეგობრობა

ეს მწერლები სიცოცხლეშივე გახდნენ ცნობილი — ისინი ბესტსელერების ავტორები, პრესტიჟული ლიტერატურული პრემიების ლაურეატები და სკანდალისტები იყვნენ. მათთან გაცნობაზე ბევრი ქალი ოცნებობდა. ცხოვრების თანამგზავრებად ისინი თავიანთი ეპოქის ყველაზე წარმატებულ მსახიობებს ირჩევდნენ, რომლებიც ნიჭითა და სილამაზით იყვნენ გამორჩეულები...

ვიქტორ ჰიუგო და ჟულიეტა დრუე.

ვიქტორ ჰიუგო და **ჟულიეტა დრუე**. „პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის“ ავტორის ჩანაწერების წიგნი სავსე იყო იმ მსახიობებისა და კურტიზანი ქალების სახელებით, რომლებიც მისი შთაგონების წყაროს წარმოადგენდნენ. ვიქტორ ჰიუგო ხშირად იცვლიდა საყვარლებს, მაგრამ ერთ-ერთ მათგანს, ჟულიეტა დრუეს ორმოცდაათი წლის განმავლობაში, ქალის სიკვდილამდე არ დაშორებია. მიუხედავად იმისა, რომ მათი ქორწინება ოფიციალურად არ ყოფილა დარეგისტრირებული, მხოლოდ ჟულიეტას უწოდებდა მწერალი თავის ნამდვილ მეუღლეს.

ერნესტ ჰემინგუეი და მარლენ დიტრიხი

ნაკლებად ცნობილი მსახიობი ვიქტორს ერთი ნახვით შეუყვარდა. ჟულიეტასაც გულწრფელად შეუყვარდა ჰიუგო. ქალმა მიატოვა თეატრი, აღარ ესწრებოდა მიღებებს, გაყიდა ძვირფასი სამოსი და იმ მოკრძალებულ ბინაში გადავიდა საცხოვრებლად, რომელიც ახალმა საყვარელმა დაუქირავა. ყოფილი მსახიობი იმ თანხით ცხოვრობდა, რასაც მამაკაცი უხდიდა მის ხელნაწერებთან და და კორესპონდენციასთან მუშაობაში.

ასაკთან ერთად ჰიუგო ხშირად იცვლიდა ქალებს და იქამდეც კი მივიდა, რომ საკუთარ შვილს წაართვა საყვარელი.

და მაინც, მას ჟულიეტა სიცოცხლის ბოლო დღემდე არ მიუტოვებია. როდესაც ქალს განუკურნებელი სენის დიაგნოზი დაუსვეს, ჰიუგო მასთან ყოველდღე რამდენიმე საათს რჩებოდა. ისინი ერთად ოცნებობდნენ, როგორ გატარებდნენ მომდევნო ზაფხულს. ჟულიეტა დრუე 1883 წლის მაისში გარდაიცვალა 77 წლის ასაკში.

სერგეი ესენინი და **ზინაიდა რეიხი**. სერგეი ესენინის მეორე ცოლი ზინაიდა რეიხი ცნობილი მსახიობი მასთან განშორების შემდეგ გახდა.

ახალგაზრდობაში ზინაიდა მემანქანედ მუშაობდა ესერების გაზეთში „ხალხის საქმე“, სადაც ესენინი ლექსებს აქვეყნებდა. სწორედ იქ გაიცნეს ერთმანეთი და მალევე დაქორწინდნენ.

ეს წარუმატებელი ქორწინება იყო — სიღარიბემ, ესენინის ლოთობამ და იმან, რომ სერგეი ეჭვიანობის შეტევისას მეუღლეს სცემდა, წყვილი განქორწინებამდე მიიყვანა. მიუხედავად ყველაფრისა, მათ ორი შვილი შეეძინათ — ქალიშვილი და ვაჟი.

ოთხი წლის შემდეგ მათი ქორწინება დასრულდა. ქალმა ვსევოლოდ მეიერხოლდის კურსებზე დაიწყო სწავლა. სტუდენტის სილამაზითა და ნიჭით მოხიბლულმა რეჟისორმა, რომელიც ქალზე 25 წლით უფროსი იყო, მეუღლე და სამი შვილი მიატოვა, შეირთო ზინაიდა რეიხი და ესენინის შვილები იშვილა. მან ახალგაზრდა ცოლი თავისი თეატრის ვარსკვლავად აქცია.

უნდა აღინიშნოს, რომ განშორებიდან ორი წლის შემდეგ, ესენინმა და რეიხმა შეხვედრები განაახლეს. რომანმა თავიდან იფეთქა და შეყვარებულები ჩუმად ხვდებოდნენ ერთმანეთს ზინაიდას მეგობრის ბინაში. როდესაც 1925 წელს ესენინმა თავი მოიკლა, ზინაიდა და ვსევოლოდი დაკრძალვაზე ერთად მივიდნენ. „ჩემო ზღაპარო, სად მიდიხარ!“ — ქვითინით იმეორებდა ქალი.

ერიხ მარია რემარკი და **პოლეტ გოდარი**. „სამი მეგობრისა“ და „ტრიუმფალური თაღის“ ავტორს ხშირად ჰქონდა სასიყვარულო ურთიერთობები მსახიობ ქალებთან. ის ათ წელზე მეტ ხანს იყო შეყვარებული მარლენ დიტრიხზე. მისი წერილები ქალის მიმართ საფუძვლად დაედო წიგნს „მითხარი, რომ გიყვარვარ“. მსახიობ ლენი რიფენშტალის ბინაში, რომელიც მოგვიანებით ადოლფ ჰიტლერის საყვარელი რეჟისორი გახდა, მან დაწერა რომანი „დასავლეთის ფრონტზე ცვლილებები არ არის“. სცენის ამომავალ ვარსკვლავს რუთ ალბას მწერალი პირველ ცოლთან განქორწინების შემდეგ ხვდებოდა. სწორედ რუთმა შესთავაზა მწერალს, უზარმაზარი ჰონორარებით, რომელსაც ის იღებდა, ვან გოგის, დეგას, სეზანის, რენუარის ნახატები შეეძინა, რის წყალობითაც რემარკი ცნობილი კოლექციონერი გახდა. გარდა ამისა, რემარკს მიაწერდნენ რომანს ჰედი ლამართან, მსახიობთან, რომელმაც „კავშირის საიდუმლო სისტემები“ შექმნა. მისი პატენტი თანამედროვე ჭი-Fი-ს შექმნის საფუძველი გახდა.

მწერლის უკანასკნელი ცოლი, რომელიც დაეხმარა, მარლენ დიტრიხის მიმართ ცალმხრივი სიყვარული დაეძლია და დეპრესიისგან გადაარჩინა, ჩარლი ჩაპლინის ყოფილი ცოლი, „ოსკარზე“ ნომინიებული პოლეტ გოდარი გახდა. ისინი 1958 წელს დაქორწინდნენ, გაცნობიდან შვიდი წლის შემდეგ და 1970 წლამდე, რემარკის გარდაცვალებამდე, აღარ დაშორებიან ერთმანეთს. „ყველაფერი ნორმალურადაა. ნევრასთენია აღარ მაქვს. არც დანაშაულის გრძნობა. პოლეტი ჩემზე კარგ გავლენას ახდენს“, — წერდა ლიტერატორი.

პოლეტი დაეხმარა ერიხს, დაესრულებინა რომანი „ცხოვრების ნაპერწკალი“. სწორედ მას მიუძღვნა ერიხ მარია რემარკმა რომანი „დრო სიცოცხლისა და დრო სიკვდილისა“.

ერნესტ ჰემინგუეი და **მარლენ დიტრიხი**. თუ კინოდივას რემარკთან ინტიმური ურთიერთობები ჰქონდა, მის თანამედროვე მწერალთან ერნესტ ჰემინგუეისთან მას მხოლოდ პლატონური სიყვარული აკავშირებდა — და თანაც როგორი! ისინი ერთმანეთს დიდი ხნის განმავლობაში წერდნენ წერილებს და ურეკავდნენ — ერნესტი მარლენს მომავალი ნაწარმოებების სიუჟეტებს უამბობდა, მსახიობი კი ნობელის პრემიის ლაურეატს ჰოლივუდის ჭორებს უზიარებდა.

ისინი ლაინერ „ილ დე ფრანსის“ ბორტზე შეხვდნენ, რომელიც ნიუ-იორკისკენ მიცურავდა. მარლენმა ბარში კოქტეილი შეუკვეთა, როცა მასთან მუქთმიანი მამაკაცი მივიდა და თავი წარუდგინა. „მე მწერალი ვარ“, — უთხრა მან. „მე ვიცი. „და აღმოხდების მზე“, — უპასუხა ხალმა.

ჯონათან საფრან ფოერი და ნატალი პორტმანი

ჯონათან საფრან ფოერი და **ნატალი პორტმანი**. 2016 წელს ჟურნალ „ნიუ-იორკ თაიმს სტაილ მეგეზინში“ რომან „უსაშველოდ ხმამაღლა და წარმოუდგენლად ახლოს“ და „ოსკარის“, „ოქროს გლობუსისა“ და ბაფტა-ს პრემიების ლაურეატმა თავიანთი ინტიმური მიმოწერა გამოაქვეყნეს, რომელიც 15 წლის განმავლობაში გრძელდებოდა.

მწერალი და მსახიობი ონლაინ-შეტყობინებებში ერთმანეთს უზიარებდნენ ახალ ამბებს, უამბობდნენ შეყვარებულების შესახებ და ხელოვნებაზე მსჯელობდნენ.

„ჩემი ყოფილი შეყვარებული მოსკოვს მეძახდა. ამბობდა, რომ მე ყოველთვის, როცა მის მანქანაში ვზივარ, მოწყენილი ვარ, როგორც მოსკოვი, როგორც რუსული ნოველა სიყვარულზე, ან ჩეხოვის ერთ-ერთი პიესა“, — იხსენებდა ერთ-ერთ წერილში მსახიობი.

„როდესაც ყველაფერი, რაც დავკარგეთ, წარსულში დარჩება, მე შევძლებ იმ წერილების ამოქექვას, საიდანაც ჩვენი ურთიერთობა დაიწყო და ყველაფრის თავიდან განცდას შევძლებ“, — წერდა პასუხად ფოერი.

ჭორების თანახმად, პორტმანის გამო ლიტერატორმა 2014 წელს ცოლი და შვილები მიატოვა, რის შემდეგაც ოჯახმა ფოერთან ურთიერთობა შეწყვიტა და უარი განაცხადა მისი წიგნის ეკრანიზაციაზე, ვეგეტარიანელობის სარგებლიანობას რომ ეხებოდა. თუმცა, იმასაც ამბობენ, რომ მწერლისა და მსახიობის პრესაში გამოქვეყნებული ურთიერთობა კარგად მოფიქრებული სვლაა.

ბელა გველესიანი
568 90 81 22

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი“
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა
ნომრის რედაქტორი: თამარ შველიძე
სარედაქციო კოლეგია: თამარ ბერძენიშვილი (გამომცემელი); თამარ შველიძე, მარიამ ჯანჯღავა, გია ბურდული, ნატო ივანიაძე, მაკა ჯაყელი, ნინო დაუშვილი, ზურა ოშხერელი, ლევან ბოჭორიშვილი (კომპ. უზრუნველყოფა), ბელა გველესიანი, მთვარისა კევლიშვილი, ლევან ჭიღლაძე (სამართალი); თამარ დოლიძე (კონსულტანტი), ბესიკ ცარციძე (მენეჯერი 599 58-72-50).

მის: თბილისი, ტაშკენტის ქ.18;
ტელ.: 593 44-04-01; 555 33-44-14.
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertogazeti.ge
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1
2 008311 231562

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.
იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99